პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი
4 ოქტომბერი
1939 წ.
№ 228 (5628)
ფასი 10 კაპ.

მეცხოველეობის ფერმების დაკომპლექტების გადამწყვეტი თვე

დაახლოებით სამი თვის წინათ სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს დადგენილება „კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ". კოლმეურნეთა მილიონიანი მასები უდიდესი აღფრთოვანებით შეეგებნენ ამ დადგენილებას, რომელიც მიმართულია საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განმტკიცებისაკენ. მთელ ჩვენს ქვეყანაში დიდი მუშაობა გაჩაღდა კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის გაფართოებისათვის.

ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან მოდის ცნობები კოლმეურნეობებში ახალი ფერმების მოწყობის, არსებული ფერმების გაფართოებისა და განმტკიცების შესახებ. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებამ იმის შესახებ, რომ სექტემბერი და ოქტომბერი გადამწყვეტი თვეებია ფერმების დაკომპლექტებაში, უდიდესი როლი ითამაშა ამ მხრივ. ყველგან, სადაც პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებმა ბოლშევიკური მგზნებარებით მოჰკიდეს საქმეს ხელი, კოლმეურნეობები ენერგიულად ყიდულობენ პირუტყვს კოლმეურნეებისაგან და კოლმეურნეობის არაწევრებისაგან, აგებენ პირუტყვის ახალ სადგომებს, საკვებით უზრუნველჰყოფენ პირუტყვს ზამთრისათვის. უკრაინაში უკვე მოწყობილია მეცხოველეობის 3 ათასამდე ახალი ფერმა. დნეპროპეტროვსკის ოლქის კოლმეურნეობებმა ძროხებისა და საფურე ხბოების შესყიდვის გეგმა შეასრულეს 97,7 პროცენტით, ცხვრებისა 265 პროცენტით.

კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის ზრუნვის ნიმუშს იძლევა ბურიატ-მონღოლეთის ასს რესპუბლიკის ტუნკინის პარტრაიკომი. რაიკომმა შეამოწმა, როგორ ასრულებენ კოლმეურნეობები სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას. გამოირკვა, რომ 21 კოლმეურნეობაში აწყობენ ახალ სარძეო-სასაქონლო ფერმებს, ხოლო 21 კოლმეურნეობაში ფერმები უკვე მოწყობილია. 41 კოლმეურნეობაში (43-დან) არის მეცხვარეობის ფერმები. კოლმეურნეობებმა მიმდინარე წელს პირველად ჩაატარეს თივის მეორე და მესამე გათიბვა, 108 პროცენტით შეასრულეს დასილოსების გეგმა, საკვებით უზრუნველჰყვეს მთელი პირუტყვი. ოკინსკის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობებმა დაამზადეს საკვების თითქმის ორი წლის მარაგი. რაიონში სავსებით დამთავრებულია პირუტყვის სადგომების აგება. შემოწმების შედეგები განხილულ იქნა პარტიის რაიონული კომიტეტის პლენუმზე.

ტუნკინის რაიონის მაგალითი ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ უდავო ჭეშმარიტებას, რომ ფერმების დაკომპლექტების წარმატება, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია სწორ, კონკრეტულ ხელმძღვანელობაზე, შესრულების ეფექტურ შემოწმებაზე. მეცხოველეობაში, ისე როგორც სახალხო მეურნეობის ყოველ სხვა დარგში, თვითდინება შეუწყნარებელია. გამარჯვება არასოდეს არ მოდის თავისთავად — იგი უნდა მოვიპოვოთ. მაგრამ ეს როგორც ჩანს, დაავიწყდათ იაროსლავლის, ივანოვოს და ზოგიერთ სხვა ოლქებში, სადაც ფერმების დაკომპლექტება თვითდინებას მიანდეს და ფაქტიურად დაიწყო ორ თვეზე მეტი ხნის შემდეგ დღიდან სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების გამოქვეყნებისა. ახალი ფერმების მოწყობა და ძალზე პატარა ფერმების შევსება აქ ფრიად არადამაკმაყოფილებელი ტემპებით ვითარდება. ცხადია, რომ ამოცანის გადაჭრისადმი ასეთი მიდგომით ადგილობრივი ორგანიზაციები ჩაშლის საფრთხეს უქმნიან დაკომპლექტების გეგმას. ადვილი წარმოსადგენია, როგორი გავლენა შეიძლება მოახდინოს ამან საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაზე, თუ გავიხსენებთ, რომ, მაგალითად, იაროსლავლის ოლქის კოლმეურნეობათა 45 პროცენტს თავის სასაქონლო ფერმებში 10-ზე ნაკლები ძროხა ჰყავს თვითეულს.

სასტიკი კრიტიკის ღირსია აგრეთვე უდმურტეთის ასსრ მიწსახკომის პოზიცია, რომელიც მიუტევებელ სიზანტეს იჩენს. უდმურტეთის მიწსახკომი 3 თვეს ელოდა რაღაც განსაკუთრებულ ინსტრუქციებსა და განმარტებებს სსრ კავშირის მიწსახკომისაგან დაკომპლექტების საკითხებზე. და თუმცა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ა. წ. 8 ივლისისა და 16 სექტემბრის ორ დადგენილებაში ზუსტად დასახულია მუშაობის პროგრამა და მისი განხორციელების მეთოდები, უდმურტეთის მიწსახკომი მაინც მოითხოვდა სპეციალურ ქაღალდებს, რადგან, წარმოიდგინეთ, „უამისოდ ფერხდება ახალი ფერმების მოწყობა".

მთელი ძალით უნდა გავაფრთხილოთ ადგილობრივი ორგანიზაციები, რომ მათ არ დაუშვან შეცდომები ფერმების დაკომპლექტებაში. როგორც ადგილებიდან მიღებული ცნობები გვიჩვენებს, ალაგ-ალაგ არასწორად ესმით პარტიისა და მთავრობის სავსებით გარკვეული მითითებანი სულადობის მინიმუმის შესახებ, მიაჩნიათ რა მინიმუმი ნორმად, რომლის გადაჭარბება თითქმის ზედმეტობად, დამახინჯებად ითვლება. ამ მხრივ ძალიან დამახასიათებელია ბაშკირეთის ასსრ მიწსახკომის მოადგილის ამხ. მურატოვის წერილი სსრ კავშირის მიწსახკომის მეცხოველეობის მთავარ სამმართველოსადმი. ამხ. მურატოვი შეწუხებული სწერს, რომ „ცალკეულ კოლმეურნეობებში მოიპოვება დედა-საქონლის სულადობის ნაჭარბთა დიდი რაოდენობა ნორმასთან შედარებით". თითქოს, საზოგადოებრივი მეცხოველეობის ასეთი ზრდა, განვითარება მისასალმებელი უნდა იყოს, მაგრამ ზოგიერთი ხელმძღვანელი სხვანაირად ფიქრობს. ჩვენ უკვე ვწერდით, რომ თათრეთში აღმოჩნდნენ ისეთი მუშაკები, რომელნიც ადგებიან სრულიად არასწორ გზას — ფერმებს აკომპლექტებენ იმ ფერმების პირუტყვის ხარჯზე, სადაც სულადობა დაწესებულ მინიმუმს აღემატება. ასეთსავე ფაქტებს იტყობინება „ლენინგრადსკაია პრავდაც". ლენინგრადის ოლქის მგინსკის რაიონში თურმე შეიმუშავეს საუკეთესო კოლმეურნეობებისათვის პირუტყვის ჩამორთმევისა და ჩამორჩენილ კოლმეურნეობებში გადაყვანის მთელი „გეგმა"! რა აქვს საერთო პირუტყვის ასეთ „გათანაბრებით გადანაწილებას" პარტიისა და მთავრობის დირექტივებთან? სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა კოლმეურნეობებს ურჩიეს დაადგნენ მეორე, ერთადერთ სწორ გზას, სახელდობრ „ამ ხნის (ე. ი. სექტემბრისა და ოქტომბრის. — რედ.) განმავლობაში შეიძინონ კოლმეურნეებისაგან და კოლმეურნეობის არაწევრთაგან, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებში და სხვა ორგანიზაციებში მოზარდეულისა და მოზრდილი პირუტყვის საჭირო რაოდენობა..."

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ მგინსკის ხელმძღვანელთა და მათ მსგავსთა პრაქტიკა საზიანოა, ანტიკოლმეურნულია, ზიანს აყენებს საზოგადოებრივ მეცხოველეობას. საქმე ის როდია, რომ ერთ ყალიბში გამოვიყვანოთ მეცხოველეობის ყველა ფერმა. პირიქით, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ჩამორჩენილი ფერმების ამაღლება მოწინავეთა დონემდე, მოწინავე ფერმების შემდგომი განვითარება და განმტკიცება, ფერმებისა, რომელნიც თვითეული კოლმეურნეობის სიამაყეს წარმოადგენენ.

საჭიროა აგრეთვე გავაჩაღოთ ბრძოლა მოზარდეულის შენარჩუნებისათვის. პარტიის კრასნოიარსკის სამხარეო კომიტეტის პლენუმზე მოყვანილი იყო წლის პირველ ნახევარში ხბოების, გოჭების, ბატკნების გაწყდომის ციფრები, რომლებიც სერიოზულ შიშს იწვევენ. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მოზარდეულის გაწყდომა გავლენას ახდენს საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაზე.

ახლოვდება ზამთარი — პერიოდი, როცა პირუტყვი ბაგაზე უნდა დადგეს და უზრუნველყოფილ უნდა იქნას საკვებით, თბილი სადგომებით. მაგრამ ყველგან პასუხისმგებლობის გრძნობით როდი შეუდგნენ თბილი და მაძღარი გამოზამთრებისათვის მზადებას. იმავე კრასნოიარსკის მხარეში იფუშება პირუტყვის სადგომების, სახბორების, ფარეხების მშენებლობა. დასილოსების გეგმა შესრულებულია 77 პროცენტით. ზოგიერთმა რაიონმა უხეში საკვების დამზადების გეგმა 30-50 პროცენტით შეასრულა.

როგორც ვიცით, კოლმეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარების შესრულებისას ხორცის შეცვლა მარცვლეულით დაშვებული იქნება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის ნებართვით. ამიტომ ფერმების დაკომპლექტებასთან ერთად საჭიროა „უზრუნველყოფილ იქნას კოლმეურნეობათა მიერ პირუტყვის გასასუქებლად დაყენება იმ რაოდენობით, რაც, საკმაოა 1940 წელს, განსაკუთრებით პირველ და მეორე კვარტალში, ხორცის ჩაბარების გეგმის შესასრულებლად. ამასთან დაშვებული არ იქნას დედა-საქონლის სულადობის შემცირება მეცხოველეობის ფერმებში".

1939 წლის 17 სექტემბრის რადიოთი წარმოთქმულ სიტყვაში საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ვ. მ. მოლოტოვმა საბჭოთა ხალხს მოუწოდა პატიოსნად და თავდადებულად იშრომოს ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე. ამ მოწოდებამ მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა საკოლმეურნეო სოფელში, სადაც, ისე როგორც მთელს ჩვენს ქვეყანაში, უდიდესი პოლიტიკური აღმავლობაა. ემზადებიან რა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვანი XXII წლისთავისათვის, კოლმეურნეები ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას. ეს მძლავრი აღმავლობა უნდა გამოვიყენოთ იმისთვის, რომ წინ წავწიოთ კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობა — კოლმეურნეთა შეძლებულობისა და კეთილდღეობის შემდგომი ზრდის, ჩვენი ქვეყნის განმტკიცების ერთერთი ძირითადი წყარო.

„პრავდის" მოწინავე, 3/X.

მოსკოვს ჩამოვიდა ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი მუნტერსი

ა. წ. 2 ოქტომბერს მოსკოვს ჩამოვიდა ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი მუნტერსი ბ-ნ ა. კამპეს თანხლებით. მინისტრთან ერთად ჩამოვიდნენ სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ლატვიაში ამხ. ი. ს. ზოტოვი და სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი ლატვიაში ამხ. ვ. ი. ტერენტიევი.

ცენტრალურ აეროპორტზე ბ-ნ მუნტერსს შეხვდნენ: საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ს. ა. ლოზოვსკი, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. მ. ა. იასნოვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ამხ. ვ. ნ. ბარკოვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ბალტიისპირა ქვეყნების განყოფილების გამგე ამხ. ა. პ. ვასიუკოვი, ქალ. მოსკოვის კომენდანტი პოლკოვნიკი ვ. ა. რევიაკინი, ლატვიის მოსკოვის მისიის მთელი შემადგენლობა საგანგებო დესპანისა და სრულუფლებიანი მინისტრის ბ-ნ ფ. კოცინშის მეთაურობით, აგრეთვე ესტონეთის საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი ბ-ნი რეი და ლიტვის საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ბ-ნი ბაგდონასი.

ცენტრალური აეროპორტი მორთული იყო საბჭოთა კავშირისა და ლატვიის ბაირაღებით.

მოსკოვს ჩამოვიდა ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ი. ურბში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. წ. 3 ოქტომბერს მოსკოვს ჩამოვიდა ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ი. ურბშისი, რომელსაც თან ახლავს ლიტვის საგანგებო ელჩი და სრულუფლებიანი მინისტრი ნატკევიჩიუსი და მინისტრის პირადი მდივანი ბ-ნი სველნიკასი. მინისტრთან ერთად ჩამოვიდნენ სსრ კავშირის საქმეთა რწმუნებული ლიტვაში ამხ. ნ. გ. პოზდნიაკოვი და სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი ლიტვაში ამხ. ს. ა. ეფანოვი.

ცენტრალურ აეროპორტზე ბ-ნ ურბშისს შეხვდნენ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ს. ა. ლოზოვსკი, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. მ. ს. სტეპანოვი, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. მ. ა. იასნოვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ამხ. ვ. ნ. ბარკოვი, ბალტიის ზღვისპირა ქვეყნების განყოფილების გამგე ამხ. ა. პ. ვასიუკოვი, ქ. მოსკოვის კომენდანტი ბრიგადის მეთაური ამხ. ვ. ა. რევიაკინი, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ხელშეკრულებათა განყოფილების უფროსის მოადგილეობის აღმსრულებელი ამხ. დ. დ. მიშუსტინი, ლიტვის მოსკოვის მისიის მთელი შემადგენლობა საქმეთა რწმუნებულის ბ-ნ ბაგდონასის მეთაურობით, ესტონეთის მისიის მრჩეველი ბ-ნი ოიანსონი, ლატვიის მისიის პირველი მდივანი ბ-ნი ალბერტსი.

ცენტრალური აეროპორტი მორთული იყო საბჭოთა კავშირისა და ლიტვის ალმებით.

ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ მუნტერსის მიღება ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მიერ

ა. წ. 2 ოქტომბერს, საღამოს, ამხ. მოლოტოვმა საუბარი გამართა ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ მუნტერსთან.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: სტალინმა, პოტიომკინმა, სსრ კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ლატვიაში ამხ. ზოტოვმა და აგრეთვე ლატვიის მოსკოველმა ელჩმა ბ-ნმა კოცინშმა.

საუბარმა 2 საათს გასტანა.

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა შუქრუ სარაჯოღლუმ დაათვალიერა მეტრო და მოსკოვ-ვოლგის არხი

ა. წ. 2 ოქტომბერს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა შუქრუ სარაჯოღლუმ დაათვალიერა მეტროს სადგურები: „მაიაკოვსკაია" და „დინამო". მინისტრს თან ახლდნენ: თურქეთის ელჩი ბ-ნი ალი ჰაიდარ აქტაი და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ბ. გ. პონტიკოვი.

შემდეგ ბ-ნმა შ. სარაჯოღლუმ, რომელსაც ახლდნენ ელჩი ბ-ნი ალი ჰაიდარ აქტაი, ბ-ნნი ჯევად აჩიკალინი, ფერიდუნ ჯემალ ერკინი, ზეჰქი პოლარი, გენები და აგრეთვე სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი თურქეთში ამხ. ა. ვ. ტერენტიევი და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ბ. გ. პონტიკოვი, დაათვალიერა ხიმკის სამდინარო ნავსადგური და იმგზავრა მოსკოვ-ვოლგის არხით.

ბ-ნმა მინისტრმა დიდი ინტერესით და ყურადღებით დაათვალიერა მეტრო და არხი და აღტაცება გამოთქვა ამ მონუმენტალური და სრულყოფილი ნაგებობებით.

O

2 ოქტომბერს, საღამოს, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი შუქრუ სარაჯოღლუ დაესწრო ოპერა „კარმენის" სპექტაკლს დიდ თეატრში.

სსრ კავშირის პროკურატურაში

სსრ კავშირის პროკურატურამ გამოარკვია მთელი რიგი შემთხვევანი, როცა უმაღლეს სასწავლებელთა დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა სპეციალისტები თავს არიდებენ იმ მუშაობას, რომელიც აღნიშნულია სახალხო კომისარიატების და უწყებების მიერ მიცემულ საგზურში. მაგალითად, ერთმა ახალგაზრდა ინჟინერმა, რომელიც მივლინებული იყო ქალაქ იზიუმის ქარხანაში, განზრახ დაიგვიანა სამუშაოზე იმისათვის, რომ სამსახურიდან დაეთხოვნათ.

ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები სამუშაოზე იღებენ ისეთ სპეციალისტებს, რომლებიც მივლინებულნი არიან სხვა ორგანიზაციაში. გადაბირების ასეთი შემთხვევა იყო, კერძოდ, მოსკოვის საკოლნიჩის რაიონის მე-6 დისპანსერში. დისპანსერის დირექტორმა ინსარიძემ სამუშაოზე მიიღო სამი ახალგაზრდა ექიმი, რომელთაც საგზური ჰქონდათ მიცემული რიაზანის ოლქში გასამგზავრებლად.

სსრ კავშირის პროკურორმა ამხ. მ. ი. პანკრატიევმა განკარგულება მისცა პროკურორებს სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში მისცენ როგორც ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რომლებიც არღვევენ კანონს და სამუშაოზე იღებენ სხვა ორგანიზაციებში მივლინებულ ახალგაზრდა სპეციალისტებს, ისე თვით სპეციალისტებიც, რომლებიც თავს არიდებენ იმ საწარმოებში მუშაობას, სადაც ისინი გაგზავნილნი არიან. (საქდესი).

5 დღეში 5.540 ცენტნერი შაქარი

ხაშური, 3 ოქტომბერი (საქდესი). ახალი საწარმოო სეზონის პირველ ხუთდღიურში აგარის ლ. ბერიას სახელობის შაქრის ქარხანამ 5.540 ცენტნერი შაქარი გამოუშვა. ახალ სეზონში მუშაობის პირველი დღიდანვე ქარხანა სადღეღამისო დავალებას გადაჭარბებით ასრულებს. გუშინ ქარხანამ 9.513 ცენტნერი ჭარხალი გადაამუშავა, მაშინ როდესაც ნორმით გათვალისწინებული იყო 9 ათასი ცენტნერი.

ახალი საწარმოო გამარჯვებებით შევხვდეთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXII წლისთავს

კისრულობენ ახალ ვალდებულებებს

გუშინ, სასაუზმოდ შესვენების დროს, თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხნის მუშათა სახელდახელო მიტინგს ქარხნის დირექტორის მოადგილემ ამხ. რ. ელენტმა გააცნო ქარხანა „კრასნი პროლეტარის" მუშაკთა კოლექტივის მოწოდება—დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXII წლისთავის ღირსეულად შეხვედრის შესახებ.

სიტყვით გამოსულმა სადურგლო სამქროს სტახანოველმა ამხ. ბოგდანოვმა, მოიწონა რა „კრასნი პროლეტარის" მუშაკთა შესანიშნავი ინიციატივა, განაცხადა: ამხ. ვ. მოლოტოვის სიტყვის საპასუხოდ ვიმუშავებ მრავალდაზგაზე. დავამზადებ მაღალხარისხოვან პროდუქციას. ამხ. მოზგოვოიმ აიღო ვალდებულება, საწარმოო გეგმა შეასრულოს 200 პროცენტით.

სადურგლო სამქროს სტახანოველი ამხ. აკოფოვი „კრასნი პროლეტარის" მუშაკთა მოწოდებას უპასუხებს გეგმის 250-დან 300 პროცენტამდე შესრულებით. იმავე სამქროს სტახანოველმა ქალმა ჩიხლაძემ გეგმის 180-დან 200 პროცენტამდე შესრულება იკისრა და პირობა დადო, რომ თავისი ბრიგადის ქალებს ჩააყენებს მოწინავეთა რიგებში.

სტახანოველები ხახუტაშვილი (ჩამომსხმელი სამქრო), პოხოძელაძე (ამწყობი სამქრო), ცოფურაშვილი (თერმული სამქრო) და სხვ. იძლევიან პირობას, რომ ოქტომბრის რევოლუციის XXII წლისთავისათვის საწარმოო გეგმებს შეასრულებენ გადაჭარბებით.

მიტინგზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ქარხნის კოლექტივი ოქტომბრის რევოლუციის XXII წლისთავისათვის გამოუშვებს ორი სახის სანიმუშო მანქანას. „სოიუზპრომმეხანიზაციის" პირველი რიგის დაკვეთებს შეასრულებს ვადაზე ადრე, მრავალდაზგიან მუშაობაში ჩააბამს არა ნაკლებ 5 მუშისა, პროდუქციის თვითღირებულებას შეამცირებს 4 პროცენტით წლიური გეგმის ზევით და სხვ.

აღნიშნულ ვალდებულებათა შესრულებით ქარხანა ჩვენს ქვეყანას მისცემს მაღალხარისხოვან პროდუქციას.

გეგმის გადამეტებით ასი ათასი მანეთის პროდუქცია

თბილისის კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის მუშა-მოსამსახურენი უდიდესი აღტაცებით შეხვდნენ ქარხანა „კრასნი პროლეტარის" მუშაკთა კოლექტივის წერილს. სახელდახელო მიტინგზე მათ მოისმინეს ამხ. მ. სარქისოვის მოხსენება ამ წერილის გარშემო.

მიტინგზე მგზნებარე სიტყვებით გამოვიდნენ ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსები, სამქროთა უფროსები, სტახანოველები და მოწინავე ადამიანები. ამხ. ლ. ტკაჩენკომ, საწოლების სამქროს უფროსმა, სტახანოველმა ქალმა, საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა აიღო ვალდებულება, რომ წლიურ გეგმას 12 დეკემბრისათვის შეასრულებს.

ამხ. ალ. გურეევი პირობას იძლევა, რომ გადამეტებით გამოუშვებს 24 ათასი მანეთის პროდუქციას. ამხ. ზ. კეშელაშვილმა იკისრა სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მისცეს 40 ტონა ლურსმანი,—ასეთივე საწარმოო ვალდებულებები აიღეს ამხანაგებმა: ი. ბალაგიანმა, ს. ბაბაიანმა, გ. ჯაფარიძემ, ს. ბატიაშვილმა, მეტრეველმა, ახნაზაროვმა და სხვებმა.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის მუშაკთა კოლექტივი მხურვალედ იწონებს და მისალმება ქარხანა „კრასნი პროლეტარის" მუშაკთა კოლექტივის მოწოდებას, პირობას იძლევა, რომ 12 დეკემბრისათვის შეასრულებს წლიურ საწარმოო გეგმას, გეგმის გადამეტებით გამოუშვებს ასი ათასი მანეთის მაღალხარისხოვან პროდუქციას, სახელდობრ ათას ცალ საწოლს, 40 ტონა ლურსმანს, 10 ცალ სასწორს და 50 ათასი მანეთის სხვადასხვა მანქანა-იარაღებს.

აღფრთოვანებით მიესალმებიან

2 ოქტომბერს, მუშაობის დამთავრების შემდეგ, თბილისის № 6 სამკერვალო ფაბრიკის პარტკომის მდივანმა ამხ. ა. უნანოვმა ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებს გააცნო ქარხანა „კრასნი პროლეტარის" მუშათა კოლექტივის წერილი.

9 თვის საწარმოო დავალება,—ამბობს ამხ. უნანოვი,—ფაბრიკამ 22 სექტემბრისათვის შეასრულა და გეგმის გადამეტებით ჩვენს ქვეყანას მისცა 83.700 მანეთის მაღალხარისხოვანი პროდუქცია. ფაბრიკაში სოციალისტური შეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის ფართო გაშლით 9 თვეში შრომის ნაყოფიერება 105,4 პროცენტით გაიზარდა.

სტახანოველი მუშა ამხ. ე. შიხაშვილი უდიდესი აღფრთოვანებით მიესალმა ქარხანა „კრასნი პროლეტარის" მუშათა მოწოდებას და იკისრა ვალდებულება, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXII წლისთავისათვის წლიურ დავალებას 180 პროცენტით შეასრულებს. თავის მხრით სტახანოველებმა: ამხ. ბადრიძემ, დემილხანოვმა, მურადოვმა, თელიაშვილმა და სხვ. განაცხადეს, რომ წლიურ საწარმოო გეგმას მაღალხარისხოვნად შეასრულებენ 7 ნოემბრისათვის.

„11 თვის საწარმოო დავალებას,—ნათქვამია ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში, — შევასრულებთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXII წლისთავისათვის და ჩვენს ქვეყანას მივცემთ 2.544,3 ათასი მანეთის მაღალხარისხოვან პროდუქციას. წლის ბოლოსათვის შრომის ნაყოფიერებას 107,8 პროც. გავზრდით. წლიურ გეგმასთან შედარებით პროდუქციის თვითღირებულებას შევამცირებთ 1,6 პროცენტით".

ფაბრიკის მუშათა კოლექტივმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია თბილისის № 2 სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი. (საქდესი).

გეგმებით წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში

ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშებს, ინჟინერ-ტექნიკოსებსა და მოსამსახურეებში უდიდესი ენთუზიაზმი გამოიწვია ქარხანა „კრასნი პროლეტარის" მუშათა კოლექტივის წერილმა ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის XXII წლისთავის ახალი საწარმოო მაჩვენებლებით შეხვედრის შესახებ.

მიტინგს, რომელიც გუშინ მუშაობის დამთავრების შემდეგ შესდგა, 250-მდე კაცი დაესწრო. „კრასნი პროლეტარის" მუშაკთა კოლექტივის წერილის ირგვლივ ინფორმაცია გააკეთა ამხ. მ. ზელენსკიმ.

საზეინკლო სამქროს ბრიგადამ, რომელსაც სტახანოველი არამ რევაზოვი ხელმძღვანელობს, აიღო ვალდებულება, რომ ოქტომბრის გეგმას 200 პროცენტით შეასრულებს, ათასლიტრიან ჰიდრავლურ პრესს 10 ცალის მაგიერ ქვეყანას მისცემს 20 ცალს. სტახანოველმა გ. ოგანეზოვმა იკისრა, რომ ოქტომბერში ღვინის ტუმბოს 15 ცალის ნაცვლად დაამზადებს 20-ს.

გეგმის 250 პროცენტით შესრულება ოქტომბრის რევოლუციის XXII წლისთავისათვის იკისრეს სტახანოველებმა: ამირგულოვმა, პეტროსიანმა, კირაკოსიანმა, ქურხულმა, მახათაძემ, ჩიტრეკაშვილმა, ქარელმა და სხვ.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ ქარხანა 10 თვის გეგმას შეასრულებს 25 ოქტომბრისათვის. თვითღირებულებას გეგმით გათვალისწინებული 5,8 პროცენტის ნაცვლად შეამცირებს 6,7 პროცენტამდე, აგრეთვე პროდუქციის ხარისხს გააუმჯობესებს 3.5 პროცენტამდე. მეოთხე კვარტალში დამატებით მომზადებული და ჩაბმული იქნება წარმოებაში 10 ქალი.

უკანასკნელი ცნობები

ბავშვების ევაკუაცია ლონდონიდან

ბერლინი, 3 ოქტომბერი (საქდესი). ლონდონიდან გადმოგვცემენ, რომ ინგლისის ხელისუფლებამ გასცა განკარგულება, რომლის თანახმადაც ყველა ბავშვმა 2-დან 5 წლამდე დაუყოვნებლივ უნდა დასტოვოს ლონდონი. ბავშვებს მოათავსებენ ჩრდილოეთის პროვინციების ქალაქებსა და სოფლებში.

გაზეთ „ტანის" სამხედრო მიმოხილვა

ბრიუსელი, 3 ოქტომბერი (საქდესი). საფრანგეთის გაზეთი „ტანი" 2 ოქტომბრის ნომერში მოთავსებულ დასავლეთის ფრონტის საომარი ოპერაციების მიმოხილვაში სწერს:

„მხოლოდდამხოლოდ სტრატეგიული თვალსაზრისით დღეს ჩვენ იმ დებულებამდე მივედით, რომელიც საკმაოდ განსხვავდება იმისაგან, რაც შესაძლო იყო გონივრულად მოგვესაზრებინა რამდენიმე კვირის წინათ.

დაპირებებით აღსავსე დასაწყისის შემდეგ ჩვენ იძულებული გავხდით შეგვეჩერებინა მოქმედება რეინის ოლქში, ვინაიდან იგი ისეთ მოქმედებად გადაიქცა, რომელიც მოკლებული იყო პირდაპირ მიზანს პოლონეთის არმიის სწრაფი განადგურების გამო. მას შემდეგ ჩვენს პოზიციას მხოლოდ სტრატეგიული ლოდინი წარმოადგენს.

მაგრამ გერმანელები თავის მხრივ არ იჩქარიან ამჟამად გენერალური ბრძოლა შემოგვთავაზონ. მათ ჯარის ერთი ნაწილი პოლონეთიდან დააბრუნეს. სათადარიგო ნაწილებით გაამაგრეს საარის ოლქისა და ბადენის ზურგის პოზიციები, რათა მზად იყვნენ ყოველი შესაძლებლობისათვის. მაგრამ არსადა ჩანს ჩვენი საზღვრის ამათუიმ ნაწილისაკენ ან მეზობელი ნეიტრალური სახელმწიფოების საზღვრებისაკენ მიმავალი მასობრივი ტრანსპორტები. არსადა ჩანს აგრეთვე ზონაჯარის დიდი კონცენტრაციისა, რომელსაც შეეძლო მხოლოდ მოეცა ჩვენთვის მტკიცე მითითებანი იმ შემოტევის შესახებ, რომელიც ამ ახლო ხანში მოგველის.

პირიქით, პოლონეთიდან დაბრუნებული გერმანიის პოლკების ერთი ნაწილი თავის გარნიზონებში მიდის (რა თქმა უნდა, იმისათვის, რომ შევსებულ იქნას ადამიანებითა და მასალით). კერძოდ, საავიაციო შენაერთთა მნიშვნელოვანი ნაწილი გაგზავნილ იქნა მათს მშვიდობიანობის დროის ბაზებში.

ერთი სიტყვით, ამ მომენტში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სხვადასხვა ინტენსივობის შეტაკებებს, რომლებიც ხდება ფრონტზე მოზელსა და რეინს შუა, ირკვევა, რომ ოპერაციები შეწყდა. საომარ მოქმედებაში ჩაბმული ძალები მრავალრიცხოვანი როდია. საარმიო კორპუსების დიდი უმეტესობა რეზერვში იმყოფება და განლაგებულია რკინიგზებისა და გზატკეცილების გასწვრივ და შიდა ოლქებშიაც კი.

რამდენ ხანს გაგრძელდება უძრაობის ეს ფაზა? ამის პასუხის გაცემა მხოლოდ მომავალს შეუძლია".

საქართველომ შეასრულა თამბაქოს აღების გეგმა

საქართველოს ბოლშევიკებმა კიდევ ერთი დიდი გამარჯვება მოიპოვეს. 1939 წლის თამბაქოს მოსავლის აღების გეგმა შესრულებულია 1 ოქტომბრისათვის 100,3 პროცენტით. აღებულია და აცმულია 136.963.083 ზონარმეტრი თამბაქო, ხოლო გეგმა იყო 136.615.000. გასულ წელს 1 ოქტომბრისათვის აღებული იყო 116.753.785 ზონარმეტრი თამბაქო.

მეთამბაქოობის მრავალმა რაიონმა რესპუბლიკაში თამბაქოს აღების წლიური გეგმა შეასრულა ვადამდე 15-20 დღით ადრე.

ყველაზე უფრო მეტ წარმატებას მიაღწია აჭარის ასსრ, სადაც 1 ოქტომბრისათვის გეგმა შესრულებულია 128,7 პროცენტით. ყვარლის რაიონში გეგმა შესრულებულია 120,4 პროცენტით, ბორჩალოს რაიონში — 112,7 პროცენტით, ლაგოდეხის რაიონში — 107,5 პროცენტით და სხვ.

თამბაქოს აღება გრძელდება. (საქდესი).

დაიწყო თამბაქოს დამზადება

სოხუმი, 2 ოქტომბერი (საქდესი). 1 ოქტომბერს, შარშანდელზე 20 დღით ადრე, აფხაზეთში დაიწყო თამბაქოს მასობრივი დამზადება.

სოხუმის რაიონის კოლმეურნეებმა და ერთპიროვნულმა მეურნეებმა სახელმწიფოს ახალი მოსავლის 6.000 კილოგრამი თამბაქო ჩააბარეს.

სოხუმის რაიონის კოლმეურნეობათა შორის გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება სახელმწიფოსათვის მაღალი ხარისხის თამბაქოს დროულად ჩაბარებაზე. (საქდესი).

თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთა მიტინგი, მიძღვნილი ქარხანა „კრასნი პროლეტარის" მუშაკთა კოლექტივის წერილის განხილვისადმი.

ფოტო კვირიკაშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიაში

დედაენაზე სწავლის პირველი დღე

ლუცკი, 2 ოქტომბერი (საკდესი). როგორც კი ქალაქი ლუცკი გაანთავისუფლეს პოლონელი შლიახტისაგან, მე-7 დაწყებითი სკოლის დირექტორი პოდგურსკი მაშინვე სკოლისაკენ გაეშურა. მასთან ერთად მრავალი მოწაფე მოვიდა. ყველა მოსული განცვიფრებული დარჩა ნახულით. ფანჯრის მინები ჩალეწილი იყო, ყველგან—იატაკზე და კედლებზე საშინელი ჭუჭყი, მერხები და მაგიდები ერთმანეთში იყო არეული, რუკები და წიგნები დაეხიათ, ყველაფერი გაეფუჭებინათ და გაეთელათ.

ასეთი კვალი დასტოვა სკოლაში პოლონელი ოფიცრების ბატონობამ. აქ დაბინავებული იყო პოლონეთის სამხედრო ნაწილი. სკოლა ყაზარმად იყო გადაქცეული.

სკოლის მასწავლებლები მოწაფეებთან ერთად შეუდგნენ წესრიგის დამყარებას. მასწავლებლებს სურდათ რაც შეიძლება მალე დაეწყოთ მეცადინეობა, ხოლო მოწაფეები შეპყრობილნი იყვნენ სწავლის სურვილით.

ყველა საკლასო ოთახი გასწმინდეს ნაგვისა და ჭუჭყისაგან, გულდასმით მორეცხეს იატაკი, კარები, ფანჯრები, დაალაგეს მერხები. სკოლაში თვალსაჩინო ადგილას მასწავლებლებმა და მოწაფეებმა სიყვარულით მოათავსეს ამხანაგ სტალინის პორტრეტი.

მასწავლებელმა პოდგურსკიმ, მიუთითა რა პორტრეტს, ასე უთხრა:

— აი ის დიდი ადამიანი, რომელმაც თავისუფლება მისცა ჩვენს ხალხს. ის გვასწავლის ჩვენ ვიყოთ ხალხის ისეთივე მამაცი შვილები, როგორც წითელი არმიის გულადი მეომრები არიან, რომელთაც გაგვანთავისუფლეს.

სკოლაში სწავლება ახალი წესით მიმდინარეობს.

დიდი ყურადღება ექცევა ზუსტ მეცნიერებას, დიადი საბჭოთა კავშირის ისტორიის შესწავლას.

ლუცკის ყველა სკოლაში შემოღებულია ახალი დისციპლინები: საზოგადოებათმცოდნეობა, სსრ კავშირის სახელმწიფოებრივი წყობილება. მასწავლებლები უდიდესი აღფრთოვანებით განუმარტავენ მოწაფეებს ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის საფუძვლებს.

თავისუფალი დასავლეთი უკრაინის მუშების, გლეხებისა და მოსამსახურეთა ბავშვებს პირველად მიეცათ შესაძლებლობა ისწავლონ თავის სამშობლო ენაზე და წერა-კითხვის სავსებით მცოდნე, კულტურული მოქალაქეები გახდნენ.

სოფელ ცუმანის გლეხები

სოფელი ცუმანი (დასავლეთი უკრაინა), 2 ოქტომბერი (საკდესი). სოფელ ცუმანის მიწები ვრცელია. შესანიშნავი ტყე, ნოყიერი საძოვრები, თევზით სავსე ტბები. ყველაფერი ეს ახლო წარსულში ხალხს, გლეხებს როდი ეკუთვნოდა, არამედ თავად რაძივილს. საუკეთესო მიწები მიეთვისებინა მას. 440 გლეხურ კომლს სულ 600 ჰექტარი სახნავი მიწა ჰქონდა. ბევრი უმიწაწყლო იყო.

შესანიშნავი ტყე, რომელიც 26 ათას ჰექტარზეა გადაჭიმული, აგრეთვე თავად რაძივილს ეკუთვნოდა. გლეხი ვერ გაბედავდა ფეხი შეედგა ამ ტყეში, ამისთვის სასტიკად სცემდნენ გლეხებს, საფანტით გატენილ თოფს ესროდნენ, მწევარ ძაღლებს უსევდნენ.

სოფელში მხოლოდ უკრაინელები ცხოვრობენ, მაგრამ სკოლა აქ პოლონური იყო.

მთელი სოფელი თავადისა და მისი ხელქვეითების უღელქვეშ გმინავდა. თავადი და მისი ხელქვეითნი სასტიკად უსწორდებოდნენ ხალხს. რევოლუციონერებისადმი თანაგრძნობისათვისაც კი, საბჭოთა კავშირის მიმართ ოდნავი სიყვარულის გამომჟღავნებისთვის გლეხებს აპატიმრებდნენ, საპყრობილეში ამწყვდევდნენ. ხუთი წელიწადი იტანჯებოდა საპყრობილეში გლეხი ბართლომე სიშჩუკი, ორი წელიწადი იტანჯებოდა გლეხი პავლე გალასი.

დადგა დრო საზღაურისა აბუჩად აგდების და ძალადობისათვის. წითელმა არმიამ დასავლეთი უკრაინის ხალხებს მიუტანა თავისუფლება და განდევნა შლიახტა.

ჩვენ არასოდეს არ დავივიწყებთ საბჭოთა ხალხის ძმურ დახმარებას,— ამბობს სოფელ ცუმანის გლეხი ამხ. გლამაზდა, ახლა უკვე აღარ არსებობს რაძივილის აღვირახსნილი ხელისუფლება. ბედნიერი ცხოვრება მოგვიტანეს ჩვენ საბჭოთა ქვეყნის სახელოვანმა შვილებმა.

სოფელ ცუმანის გლეხები აქტიურად ეხმარებოდნენ წითელი არმიის ნაწილებს პოლონეთის შლიახტის განადგურებაში, ნებაყოფლობით ეწერებოდნენ მილიციის სასოფლო რაზმებში, რათა იარაღით დაეცვათ ახალი, მშვიდობიანი, ბედნიერი ცხოვრება. წითელი არმიის ნაწილების შემოსვლის პირველ დღეებშივე გლეხებმა იარაღი აჰყარეს პოლონელი ოფიცრების ბანდას, რომელიც ტყეში იმალებოდა.

გლეხთა კრებამ ერთსულოვნად აირჩია კომიტეტი, რომელიც დიდ მუშაობას ეწევა.

სოფელ ცუმანში პანების ტერორის თარეშის მრავალი წლის შემდეგ მძლავრად ამოძრავდა საზოგადოებრივი ცხოვრება, იხსნება უკრაინული სკოლა. გლეხთა ბავშვები დედაენაზე ისწავლიან.

ცუმანის ხე-ტყის სახერხ ქარხანაში მუშები ახალი წესით აწყობენ წარმოებას. ქარხანა მთელი სიმძლავრით მუშაობს. ამ ქარხანამ ცოტა ხე-ტყის მასალა როდი გაჰგზავნა ახლომდებარე ქალაქების სახლებისა და საწარმოთა აღსადგენად.

ბელოსტოკის მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება

ბელოსტოკი, 2 ოქტომბერი (საკდესი). ქალაქის დროებითი მმართველობა მთელ რიგ ღონისძიებებს ატარებს ბელოსტოკის მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების მოსაწყობად. დაწესებულია სასურსათო და სამრეწველო მაღაზიების მუშაობის დრო. სპეკულაციასთან ბრძოლის მიზნით, ყველა მაღაზიაში გამოკიდებულია პრეისკურანტი. 1 ოქტომბრიდან მშრომელი მოსახლეობისათვის შემოღებულია უფასო მკურნალობა ყველა საავადმყოფოსა და ამბულატორიაში. საავადმყოფოებში გადიდებულ იქნება საწოლების რაოდენობა. პირველად ერთერთ საავადმყოფოსთან იხსნება საბავშვო განყოფილება. დროებითმა მმართველობამ იკისრა მოხუცთა თავშესაფარი სახლის შენახვა.

მიღებულია აგრეთვე გადაწყვეტილება გაიხსნას ქალაქში 4 კლუბი მუშა ფეიქრებისათვის, რკინიგზელებისათვის და სხვ. კლუბები მორთულია საუკეთესო ავეჯით, სპეციალური ოთახები ეთმობა ბიბლიოთეკებს.

დაბა გუსიატინში

გუსიატინი, (დასავლეთი უკრაინა), 2 ოქტომბერი (საკდესი). დაბის ქუჩებში არაჩვეულებრივი მოძრაობაა. სულ უფროდაუფრო ხმამაღლა ისმის მშობლიური უკრაინული საუბარი, რომელიც აკრძალული იყო პოლონეთის შლიახტის მიერ. ახალგაზრდობა საბჭოთა სიმღერებს მღერის.

გუშინ დაბაში გაიმართა მცხოვრებთა ხალხმრავალი მიტინგი ახლომახლო სოფლების გლეხთა მონაწილეობით. კრებამ განიხილა სახალხო ქონების დაცვის, წისქვილების ამუშავებისა და სხვა საკითხები. სიტყვით გამოსულმა ადგილობრივმა მუშამ ამხ. სტოიკომ მხურვალე მადლობა გამოუცხადა საბჭოთა ხალხს, გმირულ წითელ არმიას გაწეული ძმური დახმარებისათვის.

უდიდესი მოთხოვნილებაა საბჭოთა წიგნსა და გაზეთზე. მოსახლეობა განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს ამხანაგ სტალინის მოხსენებისადმი სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ.

მრავალი გლეხი უკვე გაეცნო საბჭოთა ბროშურებით სტახანოვური მოძრაობის ინიციატორების შესანიშნავ მუშაობას საკოლმეურნეო მინდვრებში, უკრაინის წარჩინებული ადამიანების—მარიამ დემჩენკოს, ანა კოშევოის, ქრისტინე ბაიდიჩის შესანიშნავ მუშაობას.

აქტიურ მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივ მუშაობაში ახალგაზრდობა. ახალგაზრდა ვაჟები და ქალიშვილები კომკავშირში შესვლის დიდ სურვილს იჩენენ. კომკავშირში სურს შევიდეს ამხ. ზომერშტეინს, ყოფილ მასწავლებელს, რომელიც სამუშაოდან დაითხოვეს პანებმა მხოლოდ იმისათვის, რომ ის ებრაელია, ახალგაზრდა ღარიბ გლეხებს ამხ. ლუბაკევიჩს, შახნოვიჩს და სხვ.

მოსახლეობას შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ადგილობრივი დროებითი მმართველობა, რომელსაც ამხ. იარემენკო მეთაურობს. ბევრი რამ გააკეთა უკვე მმართველობამ ღარიბებისათვის დახმარების აღმოსაჩენად. ღარიბი გლეხი შავრანსკი თავისი ოჯახითურთ ნესტიანსა და ბნელ სარდაფში ცხოვრობდა. ახლა იგი კეთილმოწყობილ ბინაში შეასახლეს. დანგრეულ ქოხში ცხოვრობდა მუშა სტრიკოც. მას ახლა ნათელი და ვრცელი ბინა მისცეს.

დნეპრის ფლოტის გემები წინ მიიწევენ

ტუროვი (პოლესიეს ოლქი), 1 ოქტომბერი (საკდესის სპეც. კორ.). ყოფილი სახელმწიფო საზღვარი შორს დარჩა მოტოვებული. დნეპრის სამხედრო ფლოტის მოწინავე გემებმა ქალაქი პინსკი დაიკავეს და წინ გასწიეს, რათა წითელ არმიას დახმარებოდნენ ოფიცერთა ბანდების ნაშთებისაგან დასავლეთ ბელორუსიის გაწმენდის საქმეში.

პანიკით შეპყრობილი მოწინააღმდეგე გარბოდა და აჩქარებით სძირავდა თავის გემებს. ახლა ზოგიერთი ჩვენი ნაწილი და სპეციალური ორგანიზაციები მდიდარი ნადავლის წყლიდან ამოღებას და წესრიგში მოყვანას შეუდგნენ. უკვე ამოღებულია რამდენიმე სანაღმე კარჟაპი, მცურავი სახელოსნოები. გუშინ ეპრონელთა ჯგუფი მოვიდა და საშტაბო გემის „ადმირალ სერპინეკის" ამოღებას შეუდგა.

დიდი მუშაობაა ჩატარებული პინსკის ნავსადგურში წესრიგის აღდგენისათვის. სდგამენ ნიშანსვეტებს, ბაკენებს. სრული დატვირთვით მუშაობენ ფარვატერის გასაწმენდად მიწისმწოვები, ესკავატორები. პინსკში უკვე მოვიდა პირველი სამგზავრო გემი „ულიანოვი".

სადაც არ უნდა შეჩერდნენ ფლოტილიის გემები, ყველგან მათ შესახვედრად გამორბიან გახარებული და აღელვებული მცხოვრებლები. აღტაცებით შეჰყურებენ ისინი საბრძოლო გემებს, რომლებზედაც ამაყად ფრიალებენ სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ბაირაღები. მადლობას უცხადებენ რა წითელფლოტელებს განთავისუფლებისათვის, მშრომელნი მოუთხრობენ, თუ როგორ მძიმე იყო მათი ცხოვრება პოლონელი პანების ხელისუფლების დროს.

— ცუდად ვცხოვრობდით უმიწოდ,—ამბობს გლეხი გნედოვიჩი. ხშირად დღე და ღამობით იმუშავებდი ხოლმე, რომ ერთი დესეტინა მიწა გეყიდნა პანისაგან, ერთი კვირის შემდეგ კი იგი უკან წაგართმევდა მას. თუ სასამართლოს მიმართავდი, უკეთეს შემთხვევაში პანს მიუსჯიდნენ დაებრუნებინა ფული ნაწილ-ნაწილად 5 წლის განმავლობაში. უფულოდაც რჩებოდი და უმიწოდაც. სრულს გაღატაკებამდე მივედით. თეთრეულს საპნის ნაცვლად სკინტლით ვრეცხავდით. ასანთიც კი არა გვქონდა. ახლა ჩვენში ახალი ცხოვრების მზე ამობრწყინდა.

საღამოობით ველებში ვეებერთელა მუხებსა და ტირიფებს შორის მოხუცები და ახალგაზრდები ინტერესით უყურებენ საბჭოთა კინოფილმებს. ვიწრო, ხვეული მდინარის ნაპირებზე შუაღამემდე გაისმის დასავლეთ ბელორუსიის განთავისუფლებული ხალხის სიხარულით აღსავსე სიმღერები.

დ. კატრიჩი

„ჩვენ ფართო გზა გაგვეხსნა ცხოვრებისაკენ"

ბელოსტოკის ახალგაზრდობის მიტინგი

ბელოსტოკი, (საკდესი). დიდი აღფრთოვანებით ჩაიარა ახალგაზრდობის საქალაქო მიტინგმა, რომელიც მიძღვნილი იყო პანების უღლისაგან დასავლეთ ბელორუსიისა და დასავლეთ უკრაინის მშრომელთა განთავისუფლებისადმი. ქალაქის თეატრის დარბაზი გაიჭედა ბელოსტოკის საწარმოთა ახალგაზრდა მუშებით, გიმნაზიების უფროსი კლასების მოწაფეებითა და სხვებით.

მიტინგი გახსნა დროებითი მმართველობის პოლიტსაგანმანათლებლო განყოფილების გამგემ ამხ. გერშმანმა. მისმა სიტყვებმა მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელად ამხანაგ სტალინის შესახებ ხანგრძლივი მქუხარე ტაში და მისასალმებელი შეძახილები გამოიწვია. ამხ. გერშმანმა წაიკითხა საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხანაგ მოლოტოვის მიერ რადიოთი წარმოთქმული სიტყვის ტექსტი და დარბაზში კვლავ მქუხარე ოვაციამ იფეთქა.

ტრიბუნაზე ავიდა საფეიქრო ფაბრიკის ახალგაზრდა მუშა-ქალი ამხ. ჟუკოვსკაია.

ჩვენ, განთავისუფლებული დასავლეთ ბელორუსიის ახალგაზრდობამ, — სთქვა მან, — მხოლოდ ახლა ვიგრძენით ახალგაზრდობის სიხარული, ბედნიერი ცხოვრების სიხარული და ხვალინდელი დღის რწმენა. მუშაობა და სწავლა! წინათ ამაზე მხოლოდ ვოცნებობდით. წვრილი ცოლშვილით დატვირთული კადრის ძველი მუშები ჩვენ გვიყურებდნენ როგორც კონკურენტებს. და აი ახლა ჩვენ ფართო გზა გაგვეხსნა ცხოვრებისაკენ.

ახალგაზრდა მუშებმა — ფეიქარმა ბელეცკიმ, თერძმა კაპლანმა და პოეტმა ბურშტეინმა მღელვარე სიტყვებით მხურვალე მადლობა გადაუხადეს საბჭოთა ხალხს დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მშრომელთათვის ძმური დახმარების გაწევისათვის.

მღებავმა მუშამ, ოცი წლის გოლდკორმა, რომელიც რამდენჯერმე იყო პოლონელი პანების კონცენტრაციონ ბანაკებში, დამსწრეთა მქუხარე ტაშით წინადადება შემოიტანა მისალმება გაეგზავნოთ ამხანაგ **სტალინს.**

მიტინგის შემდეგ ახალგაზრდობის წინაშე გამოვიდა ბელორუსიის სს რესპუბლიკის სახელმწიფო ფილარმონიის ბელორუსული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. და როცა გაისმა სიმღერა სტალინზე, მთელი დარბაზი ერთსულოვნად ფეხზე წამოდგა.

მიტინგი დამთავრდა „ინტერნაციონალის" სიმღერით.

ლიტერატურა დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მოსახლეობას

მოსკოვი (ბილდაპარატით ჩვენი საკ. კორ.). „ვოენკნიგტორგმა" დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის განთავისუფლებულ რაიონებში გაგზავნა პოლიტიკური ლიტერატურის დიდი პარტია. გაგზავნილია სტალინის „ლენინიზმის საკითხების" XI გამოცემის პირველი ეგზემპლარები, 150 ათასი ეგზემპლარი ბროშურა იაროსლავსკის სტატიით „ვის ვიცავთ ჩვენ", საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მასალები, ამხ. მოლოტოვის, ვოროშილოვის, ჟდანოვის მოხსენებანი სსრკ უმაღლესი საბჭოს საგანგებო სესიაზე. გაიგზავნა ბევრი სახელმძღვანელო სოფლის მეურნეობის დარგში, მხატვრული ლიტერატურა, აქედან ნაწილი უკრაინულ, ბელორუსულ, პოლონურ და ებრაულ ენებზე. სულ 10 დღეში „ვოენკნიგტორგმა" დასავლეთ უკრაინაში და დასავლეთ ბელორუსიაში გაგზავნა სამი მილიონი ეგზემპლარი წიგნები და ბროშურები.

კინოფილმი „განთავისუფლებულ მიწა-წყალზე"

კინოქრონიკის მოსკოვის სტუდიამ გამოუშვა ფილმი „განთავისუფლებულ მიწაწყალზე", რომელიც მიძღვნილია დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ხალხთა პანების უღლისაგან განთავისუფლებისადმი. ფილმში ნაჩვენებია საზღვრის გადალახვა წითელი არმიის მოწინავე ნაწილების მიერ, მათი შესვლა დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის სოფლებსა და ქალაქებში და მოსახლეობის სიხარული.

ფილმი გადაიღეს სრულიად-საკავშირო კინოქრონიკის ოპერატორებმა ამხ. ლამპრეხტმა, ვეინეროვიჩმა, ციტროვმა და კაუფმანმა. (საკდესი).

დასავლეთ ბელორუსიაში. **სურათზე:** ლეიტენანტი კრივოშეევი ესაუბრება სოფ. კევლის (მოლოდეჩნოს რაიონი) გლეხების ბავშვებს.

ფოტო მეჟუევისა (საკდესის ფოტოქლიშე).

ესტონეთი

(ცნობა)

1929 წლის 2 თებერვალს საბჭოთა კავშირსა და ესტონეთს შორის ხელმოწერილი იყო სამშვიდობო ხელშეკრულება, რომელიც საფუძვლად დაედო ორივე სახელმწიფოს ურთიერთობას. 1932 წელს (4 მაისს) ხელმოწერილი იყო ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ სსრ კავშირსა და ესტონეთს შორის. ეს ხელშეკრულება, ასახავდა რა საერთაშორისო ვითარების დაძაბულობას, იმავე დროს იყო სსრ კავშირის მშვიდობიანი პოლიტიკის დამამტკიცებელი საბუთი, სსრ კავშირისა, რომელიც ისწრაფვოდა და ისწრაფვის ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობიანობის დამყარებისაკენ.

ურთიერთდახმარების პაქტი სსრ კავშირსა და ესტონეთს შორის, რომელიც ხელმოწერილია მიმდინარე წლის 28 სექტემბერს, წარმოადგენს რა სსრ კავშირის მშვიდობიანი პოლიტიკის ახალ მტკიცე დადასტურებას, აუცილებელი გახდა საერთაშორისო ვითარების გაზრდილ დაძაბულობასთან დაკავშირებით. საბჭოთა კავშირის წინაშე განსაკუთრებული სიმწვავით წამოიჭრა ყველა მისი საზღვრისა და საზღვრების მისავალთა უზრუნველყოფის ამოცანა. ერთერთ ასეთ მისავლად უნდა ჩაითვალოს ესტონეთი. ესტონეთთან დადებული პაქტი ურთიერთდახმარების შესახებ საბჭოთა კავშირს აძლევს გაცილებით უფრო ფართო შესაძლებლობას განამტკიცოს თავისი დასავლეთი საზღვრების თავდაცვა.

სავაჭრო ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია ურთიერთდახმარების პაქტთან ერთდროულად, უეჭველად ხელს შეუწყობს საქმიანი კავშირის განმტკიცებას, ვაჭრობის გაფართოებას ორივე ქვეყანას შორის.

ახლა ვნახოთ, რას წარმოადგენს ესტონეთი? ეს არის ომის შემდგომი დროის ევროპის ერთერთი ყველაზე მცირე სახელმწიფო. ესტონეთის ტერიტორიის ფართობი 47.549 კვადრატულ კილომეტრს უდრის; მისი მოსახლეობა 1938 წლის 1 იანვრისათვის 1.131.125 კაცს შეადგენდა. ახლანდელი ესტონეთი მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა. მის შემადგენლობაში შევიდა მეფის რუსეთის ესტლანდიისა და ლიფლანდიის გუბერნიების ნაწილი.

ბალტიის ზღვა, რომლის ნაპირზედაც ესტონეთი მდებარეობს, აღმოსავლეთით, აღმოსავლეთ ევროპის მატერიკის სიღრმეშია შეჭრილი ორი დიდი ყურით — ფინეთისა და რიგის ყურით. ესტონეთს უკავია ტერიტორია, რომელიც ამ ორ ყურეს შორის მდებარეობს.

მისი მეზობლები არიან: აღმოსავლეთით — საბჭოთა კავშირი, სამხრეთით — ლატვია. ესტონეთის ჩრდილოეთით, ფინეთის ყურის გაღმა, ფინეთი მდებარეობს. ფინეთის ყურის განაპირა აღმოსავლეთი ნაწილი უკვე სსრ კავშირის ტერიტორიას ემიჯნება.

ესტონეთს ეკუთვნის აქ მდებარე მოონზუნდის არქიპელაგის მრავალი კუნძული.

აღმოსავლეთ ევროპის დაბლობისგან ესტონეთის ტერიტორიას ჰყოფს დაბლობი, რომელიც გაჭიმულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. აქ არის ჩუდის დიდი ტბა (პეიპუსი). ესტონეთის სახელმწიფო საზღვარი სსრ კავშირთან ამ ტბის შუაზე გადის. ესტონეთის უდიდესი მდინარეებია — ემბახი და ნაროვა. უკანასკნელი ჩუდის ტბიდან გამოდის და თავის შესართავთან ფინეთის ყურის მახლობლად, ქალაქ ნარვასთან, ჰქმნის 90 ათასი ცხენძალის ნარვის წყალვარდნილს.

ესტონეთი აგრარული ქვეყანაა და მის მეურნეობას უმთავრესად მეცხოველეობა ახასიათებს. 1938 წელს მდელოებსა და საძოვრებს 1.772 ათასი ჰექტარი ეკავა, ანუ მთელი ტერიტორიის 37,3 პროცენტი, მაშინ როცა სახნავ-სათესს ეკავა სულ 1.042 ათასი ჰექტარი, ანუ ესტონეთის მთელი ფართობის 21,7 პროცენტი. მეცხოველეობის პროდუქტები ექსპორტის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ნაწილია. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ხე-ტყის მეურნეობას. ტყეს უკავია მთელი ფართობის დაახლოებით ერთი მეხუთედი.

ბალტიის ზღვა, რომლის ნაპირებზედაც ესტონეთი მდებარეობს, ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა ამ პატარა ქვეყნის ცხოვრებაში.

ესტონეთის ნავსადგურები მომსახურებას უწევდნენ რუსეთის საგარეო ვაჭრობის მნიშვნელოვან ნაწილს. რეველი მუშაობდა, როგორც ლენინგრადის (პეტერბურგის) ავანპორტი: როდესაც ფინეთის ყურე იყინებოდა, — და ეს კი დაახლოებით 4-5 თვის განმავლობაში ხდება ყოველწლივ, — მაშინ საქონელი რეველზე მოდიოდა.

ესტონეთში სამრეწველო ცენტრები ბევრი არ არის. ტალინი (ყოფილი რეველი) ესტონეთის დედაქალაქია. ეს ძველი ქალაქია, რომელიც დაარსდა 1219 წელს. რეველი და მის გვერდით მდებარე ბალტიის ნავსადგური იყო რუსეთის ბალტიის ფლოტის მოწინავე საოპერაციო ბაზა. ამიტომ რეველი სათანადოდ იყო მოწყობილი. აქ იყო დოკები, დიდი გემთსაშენი საწარმოები, რომლებიც, გარდა კომერციული გემებისა, აშენებდნენ და არემონტებდნენ აგრეთვე სამხედრო გემებსაც. რუსეთის ფლოტის საკრეისერო და სანაღმოსნო ფლოტი მსოფლიო ომის დროს რეველს ეყრდნობოდა.

1913 წელს აქ აშენდა რუსეთში უდიდესი რუსეთ-ბალტიის გემთსაშენი ქარხანა, სადაც ერთდროულად ექვსი 3-ათასიანი და ორი 30 ათასზე მეტი ტონა ტევადობის გემის მშენებლობა შეიძლებოდა. ამ დოკებში მუშაობდა 5 ათასზე მეტი მუშა; ამჟამად იქ მუშაობს 400-დან 500 კაცამდე.

იმავე 1913 წელს რეველში აშენდა მეორე გემთსაშენი ქარხანა. კიდევ უფრო ადრე რეველში აგებული იყო ვაგონმშენებელი ქარხანა „დვიგატელი", სადაც მუშაობდა 2 ათასი მუშა; მისი წლიური პროდუქცია იყო: 3 ათასი სასაქონლო ვაგონი, 150 სამგზავრო ვაგონი, 1300 სამხედრო ტიპის საბარგული, საველე სამზარეულო და დიდი რაოდენობის სათადარიგო ნაწილები. აქვეა დიდრონი სარკინიგზო სახელოსნოები „ვოლტის" ელექტროტექნიკური მოწყობილობის ქარხანა, საკმაოდ დიდი ქიმიური ქარხანა, ბამბეულისა და ხის დამამუშავებელი ფაბრიკები და, ბოლოს, სამხედრო არსენალი, სადაც ხდება ჯავშნიანი მანქანებისა და ტანკების აწყობა და სადაც მზადდება თოფებისა და ტყვიამფრქვევების ლულები. რეველში თავმოყრილია ესტონეთის სამრეწველო პროლეტარიატის ნახევარზე მეტი.

თავისი სიდიდით მეორე ქალაქი — ტარტუ, ანუ იურიევი, ანუ დერპტი მდებარეობს მდინარე ემბახზე, იმ ადგილის მახლობლად, სადაც ეს მდინარე პეიპუსის ტბას ერთვის. ამ ქალაქის მოსახლეობის რაოდენობა 76 ათას კაცს უდრის. სხვა საწარმოთა შორის აქ არის სატელეფონო აპარატების დიდი ქარხანა. ტარტუ, ამას გარდა, დიდი კულტურული ცენტრია; აქ არის ესტონეთის ერთადერთი უნივერსიტეტი; უნდა ითქვას, რომ ეს ერთერთი უძველესი უნივერსიტეტია ევროპაში.

დიდი სამრეწველო ცენტრია აგრეთვე ქალაქი ნარვა. ნარვა საფეიქრო მრეწველობის უდიდესი ცენტრია მთელს ბალტიისპირა მხარეში. ნარვაში იყო აგებული რუსეთის ყველაზე დიდი და თავისი ტექნიკით ყველაზე მოწინავე ბამბეულის ფაბრიკა — „კრენჰოლმის მანუფაქტურა" 470 ათასი თითისტარით და 3,1 ათასი საფეიქრო დაზგით.

დასასრულ, მდინარე ნაროვის რაიონში არის ესტონეთის ტყის უდიდესი მასივები, აქვეა ხის დამმუშავებელი მრეწველობის უმნიშვნელოვანესი რაიონი; ეს მრეწველობა უმთავრესად ექსპორტისათვის მუშაობს. გარდა ამისა, ნარვაში არის მაუდის ფაბრიკები და სელის დიდი ფაბრიკა — „ნარვის მანუფაქტურა". ნარვის საწარმოებს ენერგიას აწვდის ნარვის მახლობლად არსებული წყალვარდნილი (90 ათასი ცხენძალიდან გამოყენებულია 13 ათასი ცხენძალა).

თავისი გეოგრაფიული მდგომარეობისა და აქედან გამომდინარე სტრატეგიული მნიშვნელობის გამო ესტონეთი მუდამ იპყრობდა იმპერიალისტური სახელმწიფოების ყურადღებას, რომლებიც ცდილობდნენ განემტკიცებინათ აქ თავიანთი ეკონომიური და პოლიტიკური პოზიციები. საკმარისია გავიხსენოთ, რომ 1919 წელს ინგლისის ფლოტი, ეყრდნობოდა რა ამ ტერიტორიას, ცდილობდა თავს დასხმოდა კრონშტადტს. ინგლისელებმა 21 ხომალდი დაჰკარგეს და ხელცარიელი გაბრუნდნენ. თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ინგლისის იმპერიალიზმი მოონზუნდის არქიპელაგს, ეს იქიდან ჩანს, რომ ინგლისი ერთ დროს მოლაპარაკებას აწარმოებდა ეზელის შესყიდვის შესახებ, რათა იქ ბაზა და ნავსადგომი მოეწყო ინგლისის ფლოტისათვის ბალტიის ზღვაში. დამახასიათებელია, რომ თითქმის მთელი ომის შემდგომი წლების განმავლობაში ყოველ ზაფხულს ესტონეთის ნაპირებს ესტუმრებოდა ხოლმე ინგლისის ესკადრა.



საბჭოთა კავშირ-ესტონეთის პაქტი ურთიერთდახმარების შესახებ, რაც საბჭოთა კავშირს უფლებას ანიჭებს იქონიოს სამხედრო-საზღვაო ფლოტის ბაზები და რამდენიმე აეროდრომი ავიაციისათვის ეზელისა და დაგოს კუნძულებზე და ქალაქ ბალტიის ნავსადგურში, შეუძლებელს ხდის ესტონეთის გამოყენებას პლაცდარმად სსრ კავშირის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირ-ესტონეთის პაქტი მკვეთრად შესცვლის ძალთა თანაფარდობას ბალტიის ზღვაზე და ფართო შესაძლებლობას მისცემს ბალტიის წითელდროშოვან ფლოტს უზრუნველჰყოს საბჭოთა კავშირის ნაპირების უშიშროება. ამავე დროს საბჭოთა კავშირ-ესტონეთის პაქტი უზრუნველჰყოფს თვით ესტონეთის უშიშროებას.

ესტონეთის პრესა სწორად აფასებს პაქტის მნიშვნელობას, როდესაც მიუთითებს, რომ იგი არა მარტო გამომდინარეობს 1920 წლის სამშვიდობო ხელშეკრულებიდან, არამედ კიდეც ავითარებს მას. ესტონეთის გაზეთები აღნიშნავენ, რომ სსრ კავშირი ახლა პირველხარისხოვან საზღვაო სახელმწიფოდ გადაიქცა, მაგრამ მას ბალტიკაზე არა აქვს ისეთი ნავსადგურები, რომლებიც არ იყინებიან. ამ ხარვეზს ავსებს საბჭოთა კავშირ-ესტონეთის პაქტი, რამდენადაც, როგორც ესტონეთის პრესა აღნიშნავს, „ესტონეთი სავსებით შეუთანხმდა საბჭოთა კავშირს, მიანიჭა რა მას შესაძლებლობა დამატებითი თავდაცვისა ესტონეთის ტერიტორიაზე".

ორივე მხარისათვის ხელსაყრელია აგრეთვე სავაჭრო შეთანხმებაც. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ინგლისის, ამერიკისა და საფრანგეთის კაპიტალი ცდილობდა რაც შეიძლება უფრო მტკიცე პოზიციები მოეპოვებინა ესტონეთში. მაშინ როცა 1937 წელს სავაჭრო ბრუნვა ესტონეთსა და ინგლისს შორის შეადგენდა 54.435 ათას კრონს, ესტონეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის 9.083 ათას კრონს, საბჭოთა კავშირ-ესტონეთის სავაჭრო ბრუნვა 6.262 ათას კრონს შეადგენდა. 1938 წელს იგი შეადგენდა 9.600 ათას კრონს, ხოლო ამჟამად დადებული სავაჭრო შეთანხმების შედეგად 1939 წლის დამლევისათვის ეს ბრუნვა უკვე 39 მილიონ კრონს მიაღწევს.

საბჭოთა კავშირ-ესტონეთის პაქტი, რომელიც ჰქმნის პირობებს ორივე სახელმწიფოს შორის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის, ამავე დროს სამსახურს უწევს ევროპაში მშვიდობიანობის განმტკიცების საქმეს, რასაც საძირკველი ჩაუყარა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ხელშეკრულებამ მეგობრობისა და საზღვრის შესახებ სსრ კავშირსა და გერმანიას შორის.

ი. გლუშაკოვი

(„პრავდა", 3 ოქტომბერი).

საქართველოს და ბელორუსიის მეტყევეთა შეჯიბრება

საქართველოს სს რესპუბლიკის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა, „ავტოლესმა" და ტყისა და დაცურების პროფკავშირმა მიიღეს ბელორუსიის სს რესპუბლიკის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და ტყის და დაცურების პროფკავშირის გამოწვევა სოციალისტურ შეჯიბრებაში.

საქართველოს სატყეო მუშაკებმა სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებით იკისრეს 12 დეკემბრისათვის შეასრულონ ხე-ტყის დამზადებისა და გამოზიდვის გეგმა 240 ათასი კუბური მეტრის რაოდენობით და წლის დამლევამდე ჩვენს ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცენ 10 ათასი კუბური მეტრი მერქანი.

ნაკისრია აგრეთვე ვალდებულება, 1939 წლის მეორე ნახევარში ხე-ტყის მექანიზებული გამოზიდვა აყვანილ იქნას 81 პროცენტამდე მთელ გამოზიდვის მიმართ (ნაცვლად 65 პროცენტისა შარშანდელი წლის შესაბამისი პერიოდის განმავლობაში). (საქდესი).

საქართველოს პავილიონის დირექცია ენერგიულად ემზადება ზამთრისათვის

მოსკოვი, (ბილდაპარატით ჩვენი საკ. კორ.). 27 სექტემბერს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ტერიტორიაზე პირველად მოთოვა. საქართველოს პავილიონის ჩაის გორაკი, რომელიც ჭილობითაა გადახურული, გადათეთრდა. მიუხედავად ამისა, სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე კვლავ მოდიან ათასობით მოსკოველები. 24 სექტემბერს საქართველოს პავილიონი გაიარა 97 ათასმა მნახველმა, 27 სექტემბრისათვის —50 ათასამდე.

პავილიონის დირექცია ენერგიულად ემზადება ზამთრისათვის. პავილიონის გარშემო დარგული პალმები, ევკალიპტები. აგავები ზამთრის ბინებში გადაიტანეს. ჩაის გორაკს გადასახურავს უკეთებენ. პავილიონთან აგებენ საქვაბეს, რომელიც გაათბობს ორანჟერეას. ჯერჯერობით ორანჟერეისათვის საჭირო ტემპერატურას ელექტროღუმელებით იცავენ.

უკანასკნელ დღეებში პავილიონმა ბევრი ახალი ექსპონატი მიიღო. მევენახეობის სტენდზე ყურადღებას იპყრობენ „თავრიზის", „საფერავის", „რქაწითელის" ჯიშების ყურძნით სავსე დიდი კალათები. მეხილეობის სტენდი გამდიდრდა ახალი მოსავლის კომშის, ვაშლის, მსხლის საუცხოო ნიმუშებით. პირამიდებად აწყვია კონსერვები. შუშაბანდი გაუკეთეს ვიტრინას, სადაც გამოფენილია სურნელოვანი თუშური ყველი, ქარვისფერი ერბო ხევსურეთიდან — დუშეთის რაიონის სოფ. ბარისახოდან. მებოსტნეობის განყოფილებაში გამოფენილია კომბოსტოს დიდი თავები.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომების პლენუმები

ლენინის რაიონი

2 ოქტომბერს საღამოთი რაიკომის სხდომათა დარბაზში შესდგა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მორიგი პლენუმი.

პლენუმზე მოსმენილ იქნა პარტიის რაიკომის მდივნის ამხ. **მ. ჩუბინიძის** მოხსენება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მომავალი არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ.

ამხ. ჩუბინიძემ თავის მოხსენებაში მოიყვანა მთელი რიგი კონკრეტული მაგალითები იმის შესახებ, თუ როგორ წარმატებით გაიშალა მასობრივი სააგიტაციო მუშაობა ფაბრიკა-ქარხნებსა, წარმოება-დაწესებულებებსა და დიასახლისებს შორის საარჩევნო დებულების, სსრ კავშირის და საქ. სსრ კონსტიტუციების შესწავლისათვის. ამასთანავე მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა ნაკლოვანებებზე და მწვავედ გააკრიტიკა ზოგიერთი პირველადი პარტორგანიზაციის სუსტი მუშაობა არჩევნებისათვის მზადების საქმეში (მაგალითად, 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის, სასაქონლო სადგურის, დასუფთავების ტრესტის, საორთქლმავლო დეპოს და სხვა პირველადი პარტორგანიზაციები).

ამხ. ჩუბინიძის მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ი. გეთაშვილმა (საორთქლმავლო დეპოს პარტბიუროს მდივანი), ი. ნეფარიძემ (სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის პარტკომის მდივნის მოადგილე), ი. ბახტაძემ (26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის პარტბიუროს მდივანი), შ. სარაულმა (ავტოსარემონტო ქარხნის პარტბიუროს მდივანი), ვ. ტაბატაძემ (თბილისის სახალხო სადგურის პარტბიუროს მდივანი), სოკუროვმა (კომკავშირის რაიკომი), ი. ფანქველაშვილმა (თბილისის სასაქონლო სადგურის პარტბიუროს მდივნის მოადგილე), გ. ბარამიშვილმა (პარტიის რაიკომის ინსტრუქტორი), ნ. დოქსოპულომ (კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის პარტბიუროს მდივანი), გ. ვანიშვილმა (თავდაცვა-ავიაქიმის რაისაბჭო) და ვ. გონგაძემ (ლენინის სახელობის რაისაბჭოს თავმჯდომარე).

პლენუმის დასასრულს შინაარსიანი სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. **ხ. მ. იმხანოვი**, რომელმაც რაიონის პირველად პარტორგანიზაციებს დაუსახა კონკრეტული ღონისძიებანი მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების ჩატარებისათვის მოსამზადებელი მუშაობის ბოლშევიკურად წარმართვის საქმეში.

პლენუმმა მოსმენილი მოხსენების გამო მიიღო სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი.

მოლოტოვის რაიონი

2 ოქტომბერს რაიკომის სხდომათა დარბაზში შესდგა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის სახელობის რაიკომის მორიგი მეორე პლენუმი.

პლენუმზე განხილულ იქნა საკითხი მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ. აღნიშნულ საკითხზე პლენუმმა მოისმინა რაიკომის მდივნის ამხ. **ვ. გარსევანიძის** მოხსენება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დიდი მოსამზადებელი მუშაობაა ჩატარებული ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის, მაგრამ ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს ცალკეული პარტორგანიზაციების მუშაობაში.

ფართოდ არის გაშლილი სააგიტაციო მუშაობა. აღრიცხულია და უკვე მუშაობს უბნებში 1000-ზე მეტი აგიტატორი. აგიტატორთა გადასამზადებლად მოეწყო 12-დღიანი კურსები. კურსები გაიარა 150-მა აგიტატორმა, რომლებიც უკვე მუშაობენ მოსახლეობაში. მოწყობილია 35 აგიტკოლექტივი, სემინარი აგიტკოლექტივის ხელმძღვანელთათვის პარტკაბინეტთან და სხვ.

კარგად გაშალეს სააგიტაციო მუშაობა საარჩევნო უბანში და წარმოებაში № 3 ფეხსაცმლის ფაბრიკის, უნივერმაღისა და სხვ. პარტორგანიზაციებმა. სააგიტაციო მუშაობა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულების შესასწავლად სუსტად მიმდინარეობს იმ საარჩევნო უბნებში, სადაც მიმაგრებულია № 1 მკერავის, მოდელური ფეხსაცმლის ფაბრიკის და სხვ. პარტორგანიზაციები.

ამხ. გარსევანიძის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ქარსელაძემ (№ 1 მკერავის პარტბიუროს მდივანი), კულაკოვმა (უნივერმაღის პარტბიუროს მდივანი), ლუარსაბოვმა (საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს ორგკომიტეტის თავმჯდომარე მოლოტოვის სახ. რაიონში), გოგიშვილმა (ალკკ რაიკომის მდივანი), ბაღდასაროვმა (ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებლობის პარტბიუროს მდივანი), მშვენიერაძემ (ბერიას სახელობის რკინიგზის ტექნიკუმის პარტბიუროს მდივანი), ალიხანოვმა (№ 3 ფეხსაცმლის ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი), ჩოჩიამ (მოლოტოვის სახ. პარტრაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე), ჯინჭარაძემ (არტელ „ქართული პურის" პარტბიუროს მდივანი) და სხვ. — სულ 12 ამხანაგმა.

მოსმენილ მოხსენებათა გარშემო პლენუმმა მიიღო სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. **ე. ჩერქეზიამ**.

საქ. კ. პ. (ბ) წითელწყაროს რაიკომის პლენუმი

ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) წითელწყაროს რაიკომის მეექვსე პლენუმი, პირველადი პარტორგანიზაციების პარტორგებისა და პარტბიუროს მდივნებთან ერთად. პლენუმმა განიხილა საქნავთის მირზაანის და პატარა შირაქის სარეწაოებში ნავთის ამოღების გეგმის შესრულების მიმდინარეობა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების მდგომარეობა.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქნავთის მირზაანის და პატარა შირაქის მთავარმა ინჟინერმა ამხ. ვ. ბარბაქაძემ.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 6 ამხანაგმა.

შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) წითელწყაროს რაიკომის მდივანი ამხ. ცქიტიშვილი, რომელმაც დასახა სათანადო ღონისძიებანი საქნავთის მირზაანის და პატარა შირაქის ნავთის ამოღების გეგმის შესრულებისათვის.

მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა საქ. კ. პ. (ბ) წითელწყაროს რაიკომის მდივანმა ამხ. ქურდაშვილმა.

პლენუმმა მოსმენილ მოხსენებების გარშემო მიიღო სათანადო დადგენილებები.

ი. უზუნაშვილი

ფართოდ დავნერგოთ მრავალი დაზგის მომსახურების გამოცდილება

ორ დაზგაზე მომუშავენი

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის საიარაღო საამქროს მღარავი სიმონ ადუაშვილი სხვა ამხანაგებისაგან არ გამოირჩევა თავისი სიძლიერით, ფიზიკური ძალით. იგი ჩვეულებრივი მუშაა, საშუალოზე უფრო ტანმორჩილი, ჭაღარაშერეული...

მაგრამ მას სხვებისაგან განასხვავებს საქმის საფუძვლიანად ცოდნა, წარმოებისათვის თავდადება და ერთგულება. იგი 27 წელია ქარხანაში მუშაობს. იცის სახარატო დაზგის ყველა დეტალი, შესანიშნავად მართავს სღარავ დაზგებსაც.

საიარაღო საამქროში არც ისე დიდი ხნის წინათ ყოველ სღარავ დაზგას თითო კაცი მართავდა. მაშინ შრომის ნაყოფიერება დაბალი იყო და მუშის თვიური გამომუშავება 300-400 მანეთს არ აღემატებოდა.

სიმონ ადუაშვილი ხშირად ფიქრობდა: ნუთუ არ შეიძლება ორ დაზგას ერთი კაცი მოემსახუროსო და ბოლოს გადასწყვიტა თვითონ გამხდარიყო ამ საქმის თაოსანი. თავისი სურვილი ადუაშვილმა საამქროს უფროსსა და პარტბიუროს მდივანს გაუმჟღავნა. მისი თხოვნა დააკმაყოფილეს. მას ორი სღარავი დაზგა ჩააბარეს.

ამხ. ადუაშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი საუკეთესოდ უძღვება მუშაობას, სანიმუშო მომსახურებას უწევს ორივე დაზგას. მთელი მონდომებით, მთელი ენერგიით, მართლაც თავგანწირვით მუშაობს. — ცხიბრუტივით დასტრიალებს დაზგებსო, ამბობენ ხოლმე მასზე მუშები.

როგორ შესძლო ამხ. ადუაშვილმა ორი დაზგის მომსახურება, რაშია მისი მუშაობის საიდუმლოება?

მრავალ დაზგაზე მუშაობისათვის პირველყოვლისა აუცილებელია დაუფლებული იყო სამუშაოს, იცოდე დაზგების თავისებურებანი, მათი მუშაობის დეტალები. მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა დაზგები ახლოს იყოს ერთმანეთთან, მოწყობილი იყოს სამუშაო ადგილი, მომარაგებული იყოს ოსტატი სათანადო მასალებით, იარაღებით და სხვ.

ეს პირობები შექმნილი აქვს ამხ. ადუაშვილს. რაც მთავარია, მან კარგად იცის თავისი საქმე. იცის, რომელი ნაწილის გამოჩარხვის დროს რამდენი ბრუნვა მისცეს დაზგას, რომელი კბილანა დაუყენოს მას. ამავე დროს წინასწარ იმარაგებს მასალებს, იარაღებს. გასაოცარი სისწრაფით მართავს ორივე დაზგას. ერთ დაზგას რომ ქანჩმჭრელს მისცემს გასაჩარხავად, შემდეგ მეორე დაზგის მუშაობას აწესრიგებს და ასე დაუსრულებლად.

ამხ. ადუაშვილმა დროის ფასიც იცის. არც ერთ წამს არ ჰკარგავს უნაყოფოდ. მან ისიც ზუსტად იცის, თუ რამდენ წუთს უნდება დაზგა თვითნაწრთობის თუ ქანჩმჭრელის გაჩარხვას. ამიტომ არის, რომ მის დაზგებს არცერთი ავარია, არცერთი შეფერხება არა აქვს.

იქვე, ამხ. ადუაშვილის გვერდით, ორ დაზგას მართავს ახალგაზრდა მღარავი ამხ. ვალოდია სემენიში. მას პირველად ერთ დაზგაზე მუშაობაც უჭირდა, მაგრამ როდესაც ამხ. ადუაშვილმა თავისი გამოცდილება გაუზიარა, როდესაც დაზგას დაეუფლა, ისიც ორი დაზგის მომსახურებას შეუდგა. ახლა ამხ. სემენიში მუშაობის საუკეთესო ნიმუშებს იძლევა. საგრძნობლად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. ადუაშვილი და სემენიში ახლა დავალებას 200-250 პროცენტით ასრულებენ და თვეში 600-650 მანეთ ხელფასს იღებენ.

მრავალ დაზგაზე მუშაობა ახალი რამ არის სტახანოვურ მოძრაობაში. იგი შეიცავს მინიმალური მუშა-ხელით შრომის ნაყოფიერების მაქსიმალურად ზრდის შესაძლებლობებს. ამიტომ ჩვენი მანქანათმშენებელი ქარხნები ფართოდ უნდა გამოეხმაურონ მოსკოვისა და ურალის მანქანათმშენებელი ქარხნების ამ შესანიშნავ ინიციატივას და მუშებს შეუქმნან ყველა პირობა მრავალ დაზგაზე მუშაობისათვის.

პ. ჟიოკაძე

ფართო გასაქანი მრავალ დაზგაზე მუშაობას

თბილისის კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის ლურსმნის საამქროს სტახანოველები ერთდროულად 5-6 დაზგაზე მუშაობენ. ეს საამქრო სრულიად მექანიზებულია და ამიტომ სტახანოველ მუშას შეუძლია რამდენიმე დაზგაზე ერთდროულად იმუშაოს, თუ სამუშაო დროს რაციონალურად გამოიყენებს.

ლურსმნის საამქროს სტახანოველი ა. ბადაი ერთდროულად 6 დაზგაზე მუშაობს. სამი დაზგა მავთულს სჭრის და ავტომატურად აწოდებს დანარჩენ სამ დაზგას, რომლებიც მზა პროდუქციას იძლევიან.

ამხ. ბადაი ისე დახელოვნდა ამ სამუშაოზე, რომ როცა იგი სალურსმნე მავთულის შეკვრას აწვდის მესამე დაზგას, მაშინ პირველ დაზგას უკვე დამთავრებული აქვს მიწოდებული მავთულის გადამუშავება. ამის შემდეგ ხელახლა მეორდება ეს პროცესი და ამხ. ბადაი ერთი წუთითაც კი არ აცდენს დაზგას. ამხ. ბადაი 187 პროცენტით ასრულებს გეგმას.

ლურსმნის საამქროს სტახანოველები ა. დობროვი, გ. სომხიევი და ვ. ფომინი ერთდროულად 6 დაზგაზე მუშაობენ. თვითეული მათგანი გეგმას 170 პროცენტით ასრულებს.

საშურუპე საამქროში პირველ დაზგაზე ხდება მავთულის ჭრა და მას უკეთდება სახრახნისე, ხოლო მეორე დაზგა მზა პროდუქციას იძლევა. პირველ დაზგიდან მეორეზე საშურუპედ დაჭრილი მავთულის გადატანა და სპეციალურ თეფშზე დაყრა ხელით ხდება. ასეთ ოთხ დაზგაზე ერთდროულად მუშაობენ სტახანოველები ი. ჭაისკაია, ვ. ბურჯანაძე და სინკოვი, რომლებიც ყოველდღიურ გეგმას 118 პროცენტით ასრულებენ.

მრავალ დაზგაზე მუშაობა, როგორც სტახანოვური მოძრაობის ახალი ფორმა, ფართოდ უნდა დაინერგოს ქარხნის სხვა საამქროებშიც. ამისათვის საჭიროა სამუშაო ადგილის სერიოზულად მომზადება, მუშაკთა შერჩევა მრავალ დაზგაზე მუშაობისათვის და მათთვის განსაკუთრებული მზრუნველობის გამოჩენა.

ი. ცოგბეხია

ერთდროულად სამ დაზგაზე

თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის საიარაღო საამქროს მუშა ი. საკულოვი ერთდროულად სამ დაზგაზე მუშაობს.

განსაკუთრებით საყურადღებოა ამხ. საკულოვის მუშაობა იმ მხრივ, რომ მას სამ სხვადასხვა ტიპის დაზგაზე უხდება მუშაობა, ე. ი. სამი სხვადასხვა პროფესია ზედმიწევნით კარგად აქვს შეთავსებული. პირველ დაზგაზე მზადდება მისაბმელი დისკოები, მეორეზე — მრგვალი მჭრელი იარაღები, ხოლო მესამე დაზგაზე ხდება ნაწილების ხეხვა.

მუშაობის პროცესი ასეთია: ამხ. საკულოვი ჯერ პირველ დაზგას მისცემს სადისკე რკინის ნაჭერს, შემდეგ მეორე დაზგას აწვდის მასალას და, ბოლოს, მესამეს. როცა მესამე დაზგას აამუშავებს, მაშინ პირველ დაზგას უკვე დამზადებული აქვს დისკო. ამის შემდეგ ხელახლა მეორდება პროცესი.

ამხ. საკულოვი გეგმას 250 პროცენტით ასრულებს და მისი დღიური გამომუშავება საშუალოდ 70-80 მანეთს აღწევს.

ი. ნადირაძე

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა აქტივის რესპუბლიკური თათბირი

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა აქტივის რესპუბლიკურ თათბირზე გუშინ, დილისა და საღამოს სხდომებზე, გრძელდებოდა კამათი ცეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ვ. ჯიბლაძის მოხსენების გარშემო. კამათში გამოვიდნენ შემდეგი ამხანაგები: შეროზია (წალენჯიხა), კანანოვი (აფხაზეთი), სიხარულიძე (ადიგენი), კოლესნიკოვი (ასურეთი), კოსტოვი (წალკა), რუხაძე (გურჯაანი), ხოშაბაევი (მცხეთა), ბულია (აჭარა), რიაბუხინა (მანგლისი), მუჯირი (ყვარელი), მჟავანაძე (სუფსა), მოისეევი (ლუქსემბურგი), გეტაშვილი (კასპი), შაბანოვი (ბორჩალო), კალანდაძე (ამბროლაური), პაიჭაძე (ცეკავშირი), ფერაძე (ხაშური), გალუსტოვი (ალბულაღი), კოქლამაზაშვილი (საქხილბოსტანის სამტრესტის კანტორის გამგე), წვერავა (ცეკავშირი), სტვილია (სახბანკის საქართველოს კანტორის მმართველი), საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე ამხ. ჯანჯღავა და საქ. სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარი ამხ. დონაძე.

კამათში გამოვიდა აგრეთვე „ცენტროსოიუზის" პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ი. ხოხლოვი.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **ს. ხოშტარია**. ამხ. ხოშტარიამ მკაცრად გააკრიტიკა ცეკავშირის მუშაობა, აღნიშნა მისი სუსტი ხელმძღვანელობა ძირეული ქსელისადმი და დასახა ღონისძიებანი მუშაობის გარდაქმნისათვის.

თათბირმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. **კ. ჩარკვიანს** და საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. **ვ. ბაქრაძეს**.

დასასრულს მიღებულ იქნა მიმართვა საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის ყველა მუშაკისადმი.

მდგომარეობა დასავლეთის ფრონტზე

პარიზი, 2 ოქტომბერი (საკდესი). ჰავასის სააგენტო რადიოთი იუწყება, რომ ფრონტზე სახმელეთო ოპერაციები შეჩერებულია. სააგენტო ამას იმით ხსნის, რომ ფრანგებისათვის საჭიროა გამაგრდნენ ახლადდაკავებულ ადგილებში. ამავე დროს აღნიშნავენ ავიაციის საგრძნობ აქტივობას. „კერძოდ,—იუწყება სააგენტო,—გუშინ საომარი პოზიციების თავზე ჩატარდა ყველაზე დიდი საჰაერო ოპერაცია ომის დაწყების დროიდან. გაიმართა ნამდვილი საჰაერო ბრძოლა, რომელშიც ორი თუ სამი ესკადრილია იღებდა მონაწილეობას". ამ ბრძოლის შედეგებზე სააგენტო არაფერს იუწყება.

ჰელსინკი, 2 ოქტომბერი (საკდესი). „უუსი სუომიმ" დაბეჭდა დაწვრილებითი სტატია თავისი კორესპონდენტისა, რომელმაც მოიარა დასავლეთის ფრონტი ბელგიის, ლუქსემბურგისა და საფრანგეთის საზღვრების გასწვრივ ბაზელამდე.

კორესპონდენტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მაშინ, როცა ჩემბერლენმა ამას წინათ თემთა პალატაში განაცხადა საფრანგეთის [illegible] შეტევის შესახებ, ნამდვილად საომარი მოქმედების გაძლიერების არავითარი ნიშანი არა ჩანს დასავლეთის ფრონტზე. ინგლისელთა განცხადებით, მაგალითად, საარბრიუკენის რაიონში საფრანგეთის ჯარის იერიშის გამო გერმანიის არმია იძულებული გახდა უკან დაეხია, მაგრამ აქ სრული სიწყნარე იყო. გერმანიის ქარხნები განაგრძობდნენ მუშაობას.

მდინარე საარს იქით, სწერს კორესპონდენტი, არის მოწინავე ხაზები. აქ ზოგჯერ ღამით სწარმოებს საომარი მოქმედება. ამასწინათ საფრანგეთის 2 პოლკმა დაიწყო შეტევა გერმანიის ჯარის წინააღმდეგ, მაგრამ ეს პოლკები დანაღმულ ზონაში მოხვდნენ და განადგურებულ იქნენ. მდინარე საარის ხეობის რაიონში გერმანელებს ტყვედ ჩაუვარდათ საფრანგეთის 2 ოფიცერი, 50-მდე ჯარისკაცი და ინგლისელი პოლკოვნიკი.

სხვა რაიონებში სუსტი საარტილერიო სროლა სწარმოებს. საარბრიუკენი სრულიად უვნებელია, ისე როგორც ცვაიბრიუკენი.

ინგლისის პრესა წყალქვეშა ომის შესახებ

ლონდონი, 2 ოქტომბერი (საკდესი). ინგლისის პრესა კვლავ დიდ ყურადღებას უთმობს წყალქვეშა ომის მიმდინარეობას.

გაზეთ „ტაიმსის" საზღვაო მიმომხილველი აღნიშნავს, რომ უკვე რამდენიმე დღეა, რაც ცნობა არ ყოფილა ინგლისის სავაჭრო გემების ჩაძირვის შესახებ. მიმომხილველის სიტყვით, ეს ნაწილობრივ იმით შეიძლება აიხსნას, რომ გერმანიის წყალქვეშა ნავები, რომლებიც ომის დაწყებამდე გამოვიდნენ ღია ზღვაში, თავიანთ ბაზებში დაბრუნდნენ. მაგრამ,—აღნიშნავს იგი,—ეს ინგლისის მიერ განხორციელებულ კონტრღონისძიებათა შედეგიც არის. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ ტერიტორიული წყლების ფარგლებს იქით ბადრაგობა შემოღებულ იქნა 7 სექტემბრიდან, მაშინ როდესაც ტერიტორიული წყლების ფარგლებში ბადრაგობა დაწესდა ერთი კვირით უფრო გვიან.

გაზეთი „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი" აღნიშნავს, რომ 1937 წელს ინგლისის უმთავრეს ნავსადგურებში შექმნილი იყო წყალქვეშა ნავებთან ბრძოლის ხერხების შემსწავლელი სპეციალური კურსები. უფრო გვიან შექმნილ იქნა საარტილერიო კურსები სავაჭრო ფლოტის მატროსებისათვის. გარდა ამისა, მიღებულ იქნა სათანადო ღონისძიებანი იმისათვის, რათა საჭირო შემთხვევაში სწრაფად დაიდგას ქვემეხები სავაჭრო გემებზე. ქვემეხები და საომარი მასალა ინახებოდა როგორც თვით ინგლისის, ისე მისი დომინიონების ნავსადგურებში. ამჟამად ქვემეხები უკვე დადგმულია სავაჭრო გემების უმრავლესობაზე.

გერმანიის უმაღლესი სარდლობის კომუნიკე

ბერლინი, 2 ოქტომბერი (საკდესი). გერმანიის არმიის უმაღლესმა სარდლობამ გამოაქვეყნა შემდეგი კომუნიკე:

„გუშინ დილით გერმანიის ჯარის ნაწილები შევიდნენ ვარშავაში. გუშინვე დაკავებულ იქნა ვარშავის გარეუბანი-პრაღა.

პოლონელთა წინააღმდეგობის უკანასკნელი პუნქტი—გამაგრებული ნახევარკუნძული ჰელი—გუშინ დაგვნებდა ყოველგვარი პირობის გარეშე ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ჩატარდებოდა გერმანიის ჯარისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მომზადება საერთო შეტევისათვის. დღეს დილით გერმანიის ჯარს დანებდა ჰელის გარნიზონი. იგი შესდგებოდა 4.000 ჯარისკაცისაგან და 52 ოფიცრისაგან, რომელთა შორის იყო პოლონეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდალი კონტრ-ადმირალი ფონ-უნრუგი.

— დასავლეთის ფრონტზე სწარმოებდა მხოლოდ საარტილერიო სროლა და დაზვერვითი მოქმედება.

პადერბორნის აღმოსავლეთით ჩამოგდებულ იქნა ინგლისის მზვერავი თვითმფრინავი".

საფრანგეთის კომპარტიის აკრძალვის შესახებ

ლონდონი, 2 ოქტომბერი (საკდესი). გაზეთი „დეილი ჰერალდი" მოწინავეში აღნიშნავს, რომ დემოკრატიის მეგობრები, როგორც ინგლისში, ისე საფრანგეთში სამწუხაროდ მიიჩნევენ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის აკრძალვას. „ორივე ქვეყანა,—ნათქვამია მოწინავეში,—უწინარეს ყოვლისა, თავისუფლებისათვის იბრძვის. ამიტომ პოლიტიკური თავისუფლება შენარჩუნებულ უნდა იქნას ორივე ქვეყანაში, რათა დავარწმუნოთ მსოფლიო, რომ დემოკრატიის გამარჯვება მოასწავებს დემოკრატიულ მშვიდობიანობას". ახლანდელი იუსტიციის მინისტრის ბონეს მოქმედება, დასძენს გაზეთი, რომელმაც აკრძალა კომუნისტური პარტია, შეცდარია. 80 კომუნისტმა დეპუტატმა 1936 წლიდან, მათი არჩევის დროიდან უფრო მეტი ლოიალობა და პატიოსნება გამოიჩინა საფრანგეთის ინტერესებისა და დემოკრატიის მიმართ, ვიდრე მემარჯვენე ფრთის ცნობილმა პოლიტიკოსებმა.

პარიზი, 2 ოქტომბერი (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის დაშლასთან დაკავშირებით, საფრანგეთის უმაღლესმა კომისარმა სირიასა და ლიბანში გასცა განკარგულება სირიასა და ლიბანში კომუნისტური პარტიის ორგანიზაციების დაშლის შესახებ.

ჩიანო ბერლინიდან გაემგზავრა

ბერლინი, 2 ოქტომბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ დღეს შუადღისას ჩიანო ბერლინიდან რომს გაემგზავრა.

ბულგარეთის საპარლამენტო მოღვაწე სსრ კავშირის შესახებ

სოფია, 2 ოქტომბერი (საკდესი). ბულგარეთის სახალხო კრების (პარლამენტის) თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი მარკოვმა, რომელიც მეთაურობდა ბულგარეთის პარლამენტის იმ დეპუტატთა ჯგუფს, რომელთაც სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა ინახულეს, გაზეთ „დნესში" გამოაქვეყნა ვრცელი სტატია „ჩემი შთაბეჭდილებანი სსრ კავშირის შესახებ". აღნიშნავს რა გულითად და გულმხურვალე მიღებას, რაც დეპუტატებს გაუმართეს საბჭოთა კავშირში, გიორგი მარკოვი სწერს: „დარწმუნებული ვარ, რომ ყველა უცხოელი, რომელმაც საბჭოთა კავშირი ინახულა, საუცხოო შთაბეჭდილებით ბრუნდება იქიდან. საბჭოთა ორგანიზაციებმა, საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებმა და თვით საბჭოთა ხალხმა დიდი გულითადობა და სტუმართმოყვარეობა გამოიჩინეს ჩვენს მიმართ". აწერს რა დეპუტატების მიღებას კრემლში, მარკოვი აღნიშნავს: „ბულგარეთის ხალხის წარმომადგენელნი დიდი ყურადღების ღირსი გახდნენ და მოძმეთა წრეში ჰგრძნობდნენ თავს. საბჭოთა ხელმძღვანელებმა ცხადჰყვეს, რომ როგორც ისინი, ისე სსრ კავშირის ყველა ხალხი ჩვენი სახით დიდი ყურადღებით ეპყრობიან ბულგარელ ხალხს. კეთილი გრძნობები ბულგარეთისა და ბულგარელი ხალხისადმი სავსებით აშკარა გახდა".

შემდეგ მარკოვი დაწვრილებით აწერს გამოფენას და დეპუტატების ყოფნას საბჭოთა კავშირში. სტატიაში დაწვრილებით არის აღწერილი ყველა მოკავშირე რესპუბლიკა ცალ-ცალკე და მათი სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, სოციალური და კულტურული მიღწევანი. სტატიის დასკვნითი ნაწილს მარკოვი უძღვნის მოსკოვს და, სხვათა შორის, სწერს: „სსრ კავშირის დედაქალაქი დიდ ინტერესს წარმოადგენს ყველასთვის, ვისაც საბჭოთა კავშირის განვითარება აინტერესებს, რადგან დედაქალაქის განვითარება სავსებით ასახავს ამ ქვეყნის საერთო პროგრესს".

მარკოვის სტატია თანმიმდევრობით იბეჭდებოდა გაზეთის 14 ნომერში. ამჟამად იგი სპეციალურ ბროშურად გამოდის.

ინგლისის ინფორმაციის სამინისტროს მუშაობის კრიტიკა

ლონდონი, 2 ოქტომბერი (საკდესი). გუშინ გაზეთმა „სენდეი ექსპრესმა" სასტიკად გააკრიტიკა ინფორმაციის სამინისტროს მუშაობა. გაზეთის რედაქტორს მსხვილი შრიფტით დაბეჭდილ სტატიაში მოჰყავს ამერიკელი ჟურნალისტის წერილი და ამონაწერები ამერიკული ჟურნალიდან, რათა უფრო დამაჯერებელი გახადოს თავისი აზრი, რომ ინგლისის ცენზურა ნეიტრალურ ქვეყნებში ნიადაგს ჰქმნის ინგლისის განზრახვების შესახებ. ომის ოთხი კვირის განმავლობაში, აღნიშნავს რედაქტორი, ინფორმაციის სამინისტრომ „თავისი ცენზურის განყოფილების სისულელისა და პროპაგანდის დეპარტამენტის აბსურდების შედეგად უფრო მეტი ზიანი მოუტანა ინგლისს, ვიდრე გერმანიის მთელმა სამხედრო ძალებმა. ამ შეცდომების შედეგად ჩვენ ძალიან საშიშ პოზიციებზე გადავდივართ". გაზეთის რედაქტორი წინადადებას იძლევა, რათა პარლამენტმა მოითხოვოს ინფორმაციის სამინისტროს მუშაობის დაუყოვნებლივ შეცვლა. „ამის ერთი დღით დაგვიანებაც კი ადიდებს ზიანს და აძლიერებს საშიშროებას". ამერიკელი ჟურნალისტის წერილში ხაზგასმულია გერმანიის ცენზურის ღონისძიებათა გონივრულობა და აღნიშნულია, რომ ინგლისის ცენზურა „შეუწყნარებლად აბსურდული და ყოველგვარ მოსაზრებას მოკლებულია".

რევოლუციური მოტივები ლერმონტოვის შემოქმედებაში

(მ. ი. ლერმონტოვის დაბადებიდან 125 წლისთავის გამო)

„ღრმა და ძლიერი სულია" — ასე დაახასიათა ლერმონტოვი ბელინსკიმ მასთან ორდონანსგაუზში შეხვედრის შემდეგ. ლერმონტოვის მთელი პოეზია —ბობოქარი, შეუპოვარი, ბრძოლისადმი ტიტანური მისწრაფებითა და მგზნებარე აღშფოთებით აღსავსე —ამ ღრმა და ძლიერი სულის განხორციელებაა.

ლერმონტოვის შემოქმედებამ, რომელიც განადგურებული დეკაბრიზმის ნანგრევებზე აღმოცენდა, შეიწოვა 1825 წლის ქარიშხლის გამოძახილები. მრავალრიცხოვანი გზებით — ხელნაწერი აკრძალული ლიტერატურით, ოჯახური მოგონებებით, მახლობელთა მორიდებული ნაამბობითა და გადაკრული სიტყვებით — ახალგაზრდა პოეტის შეგნებაში იჭრებოდა ხსოვნა 14 დეკემბრის შესახებ, იზრდებოდა პროტესტისა და მჩაგვრელთა მიმართ შურისძიების იდეები.

თექვსმეტი წლის ლერმონტოვი სწერს მთელ რიგ ლექსებს, რომლებიც აღსავსეა კაეშნით სამშობლოს დამონების გამო და მუქარით ტირანების მიმართ. დეკაბრისტული პოეზიიდან ლერმონტოვმა შეითვისა მისწრაფება გმირული საქმეებისადმი სამშობლოს საკეთილდღეოდ. ძველი რუსული მოქალაქური ქველობის ნიმუშთა განდიდება, პოეტის საზოგადოებრივი სამსახურის იდეა. განსაკუთრებით კი მის ლექსებს დეკაბრიზმის განწყობილებებთან ანათესავებს თავისუფლების დიადი იდეა — ლერმონტოვის შემოქმედების ერთ-ერთი ცენტრალური იდეა.

დეკაბრისტების მსგავსად ლერმონტოვს არ შეეძლო თავის შემოქმედებაში ძალადობისა და ჩაგვრისათვის დაეპირისპირებინა თვით ხალხის — სამშობლოს ძალა: ნიკოლოზის დროს ჯერ კიდევ არ იყო დამწიფარი. მაგრამ იგი, თავადაზნაურობის წრიდან გამოსულ რევოლუციონერთა აჯანყებიდან რევოლუციური გლეხური დემოკრატიის მოძრაობაზე გარდამავალი პერიოდის პოეტი, თავისუფლების მოტივებს ამუშავებს უფრო ცოცხლად და ღრმად, ვიდრე პოეტი-დეკაბრისტები. ლერმონტოვი ილაშქრებს არა მარტო თვითმპყრობელურ-ბატონყმური ხელისუფლების მხრივ პოლიტიკური ჩაგვრის წინააღმდეგ, არამედ ყოველგვარი ბორკილების წინააღმდეგაც, რომლებსაც ადამიანს უყრის ფეოდალურ-ბატონყმური საზოგადოება და ახალი ბურჟუაზიული საზოგადოება, რომელიც ყალიბდება. ჯერ კიდევ ადრინდელ, ჭაბუკობის დროინდელ დრამებში ლერმონტოვი თავის სიძულვილს მიმართავს მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების მთელი წყობის წინააღმდეგ: ბატონყმობის, ეკლესიური და ნაციონალური ჩაგვრის, დიდგვაროვნობისა და სიმდიდრის პრივილეგიების წინააღმდეგ.



ლერმონტოვს თავისუფლება ესმის როგორც თავისუფლება პიროვნების სრული, ყოველმხრივი განვითარებისათვის. ეს არის არა მარტო პროგრამულ-პოლიტიკური მოთხოვნა, არამედ ყოვლისმომცველი პირადი იდეალი, პოეტის მგზნებარე კაეშნის საგანი, სიცოცხლის სრულფასოვნობის პირობა. ამიტომ თავისუფლების სიყვარულის მოტივები ლერმონტოვს მოცემული აქვს არა მარტო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემატიკაზე დაწერილ ლექსებში, არამედ თავის „პირად" რომანტიკულ ლირიკაშიც („პატიმარი", „მეზობელი ქალი", „დატყვევებული რაინდი", „სურვილი" და სხვ.). ამასთან ერთად პიროვნების თავისუფლების იდეა ლერმონტოვის ნაწარმოებებში მუდამ იქცევა საზოგადოებრივი გარდაქმნის მოთხოვნად.

ლერმონტოვის მიერ შეთვისებულ დიად განმათავისუფლებელ იდეათა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ იდეა ადამიანთა თანასწორობისა, — მათი წარმოშობისა და საზოგადოებაში მათი როლისაგან დამოუკიდებლად. თავისი ჭაბუკობის დროინდელ ნაწარმოებთა გმირების რიცხვს იგი ტყუილად როდი აკუთვნებს განკიცხულსა და მათხოვარს, კუზიან ვადიმს („ვადიმი"), უგვარტომო ფერნანდოს („ესპანელები"), ყმა არსენის („ბოიარინი ორშა").

„დაბალი — წოდების" ადამიანის უფლებებისა და ღირსების დაცვამ ბრწყინვალე, ნამდვილად-ხალხური გამოხატულება ჰპოვა „სიმღერაში ვაჭარ კალაშნიკოვის შესახებ".

30-იანი წლების შავი რეაქციის ვითარებაში, „სიბნელისა და თვითნებობის ამ სამეფოში", ჭაბუკი პოეტი, ყველა შავბნელი ძალების საწინააღმდეგოდ, თავისთვის ირჩევს ამაყ დევიზს: „რა მოსაწყენია სიცოცხლე, როდესაც არ არის ბრძოლა!". და იგი ამ დევიზის ერთგული რჩება მთელი თავისი ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში. რუსულ ლიტერატურაში გორკამდე არ უნდა მოიპოვებოდეს ბრძოლის იმ აღტაცების მსგავსი რამე, რომელიც მოცემულია „მწირის" ცეცხლოვან სტრიქონებში. მაგრამ ლერმონტოვისათვის ბრძოლა სრულებითაც არ იყო ადამიანის ძალების უმიზნო და უსაგნო თამაში. მისი მოქმედების წყურვილი განუყრელია მჩაგვრელთა მიმართ შურისძიების იდეებისაგან („ვადიმი", „იზმაილ-ბეი" და სხვ.) და ბრძოლის დიადი მიზნების ძებნისაგან.

ლერმონტოვის მებრძოლი, მომხმობი პოეზია ნიკოლოზის მეფობის „მომსრველ ხანაში" გაისმოდა როგორც ზარის ხმა ვეჩეს კოშკზე, უღვიძებდა გამბედაობას სულმოკლეებსა და მერყევებს, უყიოდა მომავალ ქარიშხალთა „შტურმანებს".

ლერმონტოვის შემოქმედების გამარევოლუციურებელი მნიშვნელობა მთელი სიმკვეთრით იჩენს თავს მის სატირულ მიზანმიმართულებაში. თავისი ლექსის „სიმწარესა" და „სიბოროტეს", სარკაზმსა და გესლიან ირონიას ლერმონტოვი იყენებს თავადაზნაურულ-ბატონყმური საზოგადოების ფართოდ ჩვენებისათვის. „ფიქრის" მრისხანე და მწვავე ტაეპებში, ლექსში — „პოეტის სიკვდილი", რომელიც მიძღვნილია ა. ს. პუშკინის დაღუპვისადმი, ლერმონტოვი ილაშქრებს აპატიის, მოღუნებულობის, სულიერი უნაყოფობის წინააღმდეგ, ამ უბადრუკი საზოგადოების ტახტის წინაშე მონობის წინააღმდეგ. თავის მრავალ ნაწარმოებში, პირველი ნახევრად-ბავშვური გულუბრყვილო-სატირული ცდებიდან ლექსამდე „მშვიდობით, პირდაუბანელო რუსეთო", ლერმონტოვი ილაშქრებს ოფიციალური თავადაზნაურულ-ბატონყმური რუსეთის წინააღმდეგ. მისი ჩამოშორება ამ რუსეთისაგან მთავრდება მასთან კავშირის სრული გაწყვეტით. და იმავე დროს, რაც უფრო მეტი წლები გადის, უფრო და უფრო მტკიცდება, ღრმავდება პოეტის ნამდვილი სიყვარული თავისი სამშობლოსადმი, თავისი ხალხისადმი. ლექსში „სამშობლო" (1841 წ.) კაზიონურ პატრიოტიზმს, თავადაზნაურული სახელმწიფოს ყალბ „დიდებას" იგი უპირისპირებს ხალხურ გლეხურ რუსეთთან სისხლხორცეული კავშირის გრძნობას.

ლერმონტოვმა, რომელიც იდგა ისტორიულ გზაჯვარედინზე, რევოლუციური მოძრაობის ორ მწვერვალს შუა, ვერ იპოვნა საზოგადოებაში რეალური დასაყრდენი ვერც თავისი პროტესტისათვის, ვერც თავისი იდეალებისათვის. აქედან წარმოსდგება გულისგატეხის სიმწარე, „მოწამლული იმედების" და გაცრუებული სურვილების ნიშანი, რომელიც მის შემოქმედებას ატყვია. მაგრამ სამართლიანი არ იქნებოდა ლერმონტოვის გადაქცევა პესიმისტად და სკეპტიკოსად. მისი პოეზია გამსჭვალულია სიცოცხლისადმი უდიდესი ნებისყოფით, აღსავსეა ადამიანებისადმი და „საუცხოო დედამიწისადმი" სიყვარულით. ლერმონტოვის ლექსები — ეს არის უშიშარი, მამაცური, ნებისყოფით გაჟღენთილი პოეზია, რომელიც უკან არ იხევს ულმობელი სიმართლის წინაშე, არ ნებდება ტრაგიკულ უთანასწორო ბრძოლაში.

პოეტის გმირული ოცნება წინ უსწრებდა მის დროს. ლერმონტოვის სიცოცხლის იდეალი არამარტო უპირისპირდებოდა ფეოდალურ-ბატონყმურ საზოგადოებას, არამედ ვერ იპოვნიდა ნამდვილ განხორციელებას ბურჟუაზიულ საზოგადოებაშიც. მხოლოდ სოციალისტური წყობილების დროს ხორციელდება მთლიანად ლერმონტოვის იდეალი თავისუფალი, ბედნიერი, მებრძოლი და შემოქმედი ადამიანისა. და ლერმონტოვის პოეზია მახლობელია ახალი ცხოვრების მშენებლებისათვის. მისი დაუშრეტელი სიყვარული სიცოცხლისადმი, მისი შეუდრეკელი ნებისყოფა ბრძოლისადმი, მისი აღმაფრენი, მუდამ წინმისწრაფი ოცნება მუდამ გვხიბლავს ჩვენ.

ე. მიხაილოვა

◆

მუნტერსი მოსკოვს გაემგზავრა

რიგა, 2 ოქტომბერი (საკდესი). დღეს, შუადღის 12 საათზე, ადგილობრივი დროით, მოსკოვს გაფრინდნენ ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრი მუნტერსი და ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელშეკრულებათა დეპარტამენტის დირექტორი კამპე.

ლატვიის პრესა მუნტერსის გამგზავრების შესახებ

რიგა, 2 ოქტომბერი (საკდესი). ლატვიის სხვადასხვა წრეების საზოგადოებრივი აზრი დიდი კმაყოფილებით შეხვდა ცნობას იმის შესახებ, რომ ლატვიის მთავრობის დელეგაცია მოსკოვს მიემგზავრება სსრ კავშირის მთავრობასთან უშუალო კონტაქტის დასამყარებლად.

ლატვიის მოსახლეობა განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს დელეგაციის გამგზავრებისადმი. სხვადასხვა საზოგადოებრივი წრეები მიესალმებიან ამ გამგზავრებას და აფასებენ მას როგორც ისეთ აქტს, რომელიც მიმართულია სსრ კავშირისა და ლატვიის ხალხებს შორის განსაკუთრებით მეგობრული ურთიერთობის დამყარებისაკენ. ინტერესი სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკისადმი სულ უფროდაუფრო იზრდება.

დღეს გაზეთებმა დიდი ყურადღება დაუთმეს ესტონეთის პრესის კომენტარებს საბჭოთა კავშირსა და ესტონეთის ხელშეკრულების შესახებ. ეს კომენტარები აღნიშნავენ, რომ საზოგადოებრივი აზრი კმაყოფილია ამ ხელშეკრულებით. გაზეთები განსაკუთრებით ხაზს უსვამენ ესტონეთის პრესის განცხადებას იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირთან დადებული ხელშეკრულება უზრუნველჰყოფს მშვიდობიანობას ბალტიის ზღვაში.

ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნი ურბშისის მომავალი გამგზავრება მოსკოვს

კაუნასი, 2 ოქტომბერი (საკდესი). ლიტვის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ „სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოლოტოვის მოწვევით, ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი ურბშისი 3 ოქტომბერს მიემგზავრება მოსკოვს. გამგზავრების მიზანია იმ საკითხების განხილვა, რომლებიც ლიტვას და სსრ კავშირს აინტერესებს".

ირანის პრესის გამოხმაურება

თეირანი, 2 ოქტომბერი (საკდესი). თეირანის ყველა გაზეთი ათავსებს საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ხელშეკრულების, აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და ესტონეთის პაქტის სრულ ტექსტებს და მთელ ფურცლებს უთმობს ცნობებს მოსკოვში წარმოებული მოლაპარაკების შესახებ. ცნობები მოთავსებულია ისეთი სათაურებით, რომლებშიც ხაზგასმულია სსრ კავშირის როლის ზრდა ევროპის საქმეებში.

ჩინეთის სამხედრო საბჭოს წარმომადგენლის განცხადება

ჩუნცინი, 2 ოქტომბერი (საკდესი). ჩინეთის სამხედრო საბჭოს თავმჯდომარემ ჩანშის გარშემო შექმნილი მდგომარეობის კომენტირებისას განაცხადა, რომ 2 წელზე მეტია, რაც ჩინეთი ხანგრძლივი ომის სტრატეგიას იყენებს, რათა დააუძლუროს მტერი. „ჩვენ,—სთქვა სამხედრო საბჭოს თავმჯდომარემ,—ჩვენს მახვილს მივმართავთ მტრის მთავარი ძალების წინააღმდეგ და არ ვცდილობთ დავიცვათ რადაც უნდა დაგვიჯდეს ესა თუ ის პუნქტი. უხანის დაკარგვის შემდეგ ჩანშანს საყურადღებო სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა არ აქვს. ახლა, ევროპის ომის დაწყების შემდეგ, ჩვენ განსაკუთრებით უნდა ვიყოთ მზად ხანგრძლივი ომისათვის და ყოველნაირად ვერიდოთ პოზიციურ ომს კანტონ-ხანკოუს რკინიგზის აღმოსავლეთით. იაპონელებმა შეტევა განაახლეს 14 სექტემბერს ძიანსის, ხუნანის, ხუბეის პროვინციებში; ამ შეტევის დაწყებიდან ჩინეთის ჯარმა დიდი ზარალი მიაყენა ხუნანის პროვინციის ფრონტზე მომქმედ იაპონიის ოთხ დივიზიას და იაპონიის სამ დივიზიას—ძიანსის პროვინციაში. ჩანშაზე იაპონიის თავდასხმის მიზანია იაპონელთა კონტროლის დაწესება ჩანშა-ჩანდე-იჩანის მომქმედ კომუნიკაციის მიმართ".

სარწმუნო წრეების ცნობებით, ჩანშასთან მდგომარეობა გაუარესდა.

მდგომარეობა ჩანშის რაიონის ფრონტზე

ნიუ-იორკი, 2 ოქტომბერი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ჰონკონგელი კორესპონდენტი იმოწმებს ჩანშიდან მიღებულ ჩინურ ცნობებს და აღნიშნავს, რომ ჩანშის ჩრდილო-აღმოსავლეთით 32 კილომეტრზე ჩინეთის ჯარის ნაწილებმა უკუაგდეს იაპონიის მთავარი ძალები. იაპონიის ჯარის ზარალი რამდენიმე ათასი კაცით გამოიხატება.

კორესპონდენტი იუწყება, რომ კანტონ-ხანკოუს რკინიგზის დასავლეთით ჩინეთის ჯარმა შეაჩერა იაპონიის ჯარის მეორე ჯგუფის წინსვლა. ჩინეთის ჯარის ნაწილებმა მოქმედების საშუალება მოუსპეს აგრეთვე იაპონიის ჯარის მექანიზებულ რაზმებსა და ჩააჩუმეს იაპონიის არტილერია.

ტოკიო, 2 ოქტომბერი (საკდესი). დომეი ცუსინის სააგენტო ჩინეთში წარმოებული საომარი მოქმედების შესახებ რადიოცნობაში აღნიშნავს, რომ ხუნანის პროვინციაში იაპონიის ჯარის სხვადასხვა ნაწილები, რომლებიც სამხრეთის მიმართულებით უტევენ, ქალაქ ჩანშისაკენ (ხუნანის პროვინციის დედაქალაქი) მიიწევენ. იაპონიის ჯარის ნაწილებმა მდინარე მიშუი გადალახეს და წაიწიეს ჩანშის ჩრდილოეთით 25 კილომეტრზე მდებარე პუნქტამდე, სადაც ისინი სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ წავიდნენ.

ჩუნცინი, 2 ოქტომბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტომ გუშინ ჩუნცინის რადიოსადგურით გამოაქვეყნა, რომ იაპონიის ჯარი იმყოფება 30 კილომეტრზე ჩანშიდან. ამ რაიონში გააფთრებული ბრძოლა სწარმოებს, განსაკუთრებით კანტონ-ხანკოუს რკინიგზის აღმოსავლეთით, სადაც ჩინეთის ჯარი მედგარ წინააღმდეგობას უწევს იაპონელებს. ჩინეთის ჯარის მთავარი ძალები ინარჩუნებენ ძიშანშის და იუნანშის (ჩანშის ჩრდილო-აღმოსავლეთით). იაპონელთა ერთი კოლონა ქალაქ ცინძინის (ტიანძინის სამხრეთით) განადგურებულია. იაპონელებმა დიდი ზარალი ნახეს.

„სინხუაჟიბაო" საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკის შესახებ

ჩუნცინი, 2 ოქტომბერი (საკდესი). გაზეთი „სინხუაჟიბაო" მოწინავე სტატიაში სწერს: „სსრ კავშირის მშვიდობიანი პოლიტიკა მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ დაიცვას საყოველთაო მშვიდობიანობა, არამედ იმაშიც, რომ დაეხმაროს სუსტ და ჩაგრულ ერებს. საბჭოთა კავშირისა და ესტონეთის ხელშეკრულება ურთიერთდახმარების შესახებ ამის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია. სსრ კავშირი თავის საგარეო პოლიტიკაში უდიდესი წარმატების მიღწევის შედეგად საყოველთაო მშვიდობიანობის დასაყრდენი ხდება".

საომარი მოქმედება ჩინეთში

(საკდესის ჩუნცინელი და შანხაელი კორესპონდენტების ცნობათა მიხედვით)

ცენტრალურ ჩინეთში

ხუნანის პროვინციის ჩრდილო ნაწილში იაპონიის ჯარი კვლავ ჩანშისაკენ მიიწევს. იაპონელთა ჯარის ერთი კოლონა დიდი ზარალის ფასად მიუახლოვდა პუნქტებს, რომლებიც მდებარეობენ 25 კილომეტრზე ჩანშის ჩრდილო-აღმოსავლეთით. იაპონელები უტევენ ქალაქს კანტონ-ხანკოუს რკინიგზის გასწვრივ და აგრეთვე გზატკეცილების მიმართულებით. 29 და 30 სექტემბერს ბრძოლა გრძელდებოდა ქალაქის თავდაცვის გარე ხაზზე.

29 სექტემბერს იაპონელთა რაზმმა, რომელიც 300 კაცისაგან შესდგებოდა, ყუმბარმშენი ავიაციის დახმარებით სცადა შეტევაზე გადასულიყო ჩინეთის ჯარის ცალკეული ნაწილების პოზიციების წინააღმდეგ იჯოუს ჩრდილო-აღმოსავლეთით. ჩინელებმა ეს წინსვლა შეაჩერეს.

ჩინეთის რეგულარული არმიის რაზმები და პარტიზანები ბრძოლას აწარმოებენ იაპონელებთან ნანკინ-შანხაი-ხანჯოუს სამკუთხედის რაიონში. 25 სექტემბერს ჩინეთის მე-4 არმიის რაზმებმა დაიწყეს ბრძოლა იაპონიის არმიის ნაწილებთან ჩანჯოუს დასავლეთ გარეუბნებში (ნანკინ-შანხაის რკინიგზაზე).

სამხრეთ ჩინეთში

ჩაოჯოუს რაიონში ბრძოლა გრძელდება (სვატოუს ჩრდილოეთით). 27 სექტემბერს იაპონელთა ნაწილები ცდილობდნენ იერიში მიეტანათ ჩინელთა პოზიციებზე, მაგრამ უკუქცეულ იქნენ.

მედგარი ბრძოლა გაიმართა კანტონის სამხრეთ-აღმოსავლეთით. 1 ოქტომბერს ბრძოლა სწარმოებდა ნანტოუსა და შინჩუნის რაიონებში. ჰონკონგის ჩრდილოეთით ჩინეთის ჯარმა ავიაციისა და არტილერიის დახმარებით დაიწყო იერიში იაპონიის პოზიციებზე. იაპონიის მაშველმა ძალებმა აიძულეს ჩინელები უკან დაეხიათ თავიანთ გამაგრებულ მიჯნებისაკენ.

ჩრდილოეთ ჩინეთში

ჩრდილოეთ ჩინეთში ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

ჩინეთის თვითმფრინავები თავს დაესხნენ ხანკოუს

ჩუნცინი, 3 ოქტომბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო იმოწმებს ჩინეთის სამხედრო წრეებიდან მიღებულ ცნობებს და იუწყება, რომ დღეს ჩინეთის 6 ყუმბარმშენი ავიაგანმანადგურებლების თანხლებით დასავლეთ ჩინეთში მდებარე თავისი ბაზიდან გაფრინდა და, ისარგებლა რა მშვენიერი ამინდით, ხანკოუს მიაღწია. ყუმბარები დაუშინეს ხანკოუს აეროდრომს. ყველა თვითმფრინავი მშვიდობით დაბრუნდა თავის ბაზაში. როგორც დამსწრენი იუწყებიან, თავდასხმისთანავე აეროდრომზე ხანძარი გაჩნდა. დამსწრენი გადმოგვცემენ აგრეთვე, რომ იაპონელების აეროდრომს დიდი ზიანი მიაყენეს.

ინგლისის საწინააღმდეგო კამპანია ჩინეთის ოკუპირებულ ნაწილებში

შანხაი, 2 ოქტომბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ბეიპინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ იაპონიის ჯარის მიერ ჩინეთის ოკუპირებულ რაიონებში დაარსებულმა მარიონეტულმა ხელისუფლებამ კვლავ გააძლიერა ბრიტანეთის საწინააღმდეგო მოძრაობა. ქალაქ კაიფინში მაღაზიებს აეკრძალათ ინგლისური საქონლის გაყიდვა. ამ აკრძალვის დარღვევისათვის ხელისუფლება მაღაზიის პატრონებს საქონლის კონფისკაციით ემუქრება.

ამერიკელები, აღნიშნულია ცნობაში, აგრეთვე განიცდიან სიძნელეებს კაიფინში, სადაც იმ ორგანიზაციამ, რომელსაც იაპონელები ხელმძღვანელობენ, დახურა ამერიკის კათოლიკური მისიის ქალთა სკოლა.

25 სექტემბერს მარიონეტული პოლიციის მეთაურის განკარგულებით ქალაქ ანიანში (ხენანის პროვინციის ჩრდილოეთი ნაწილი) დასწვეს ინგლისის ჰოსპიტალი და ეკლესია.

კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის 75 წლისთავი

მომავალ წელს სრულდება კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის 75 წლისთავი. აკადემიის სამეცნიერო საბჭომ დაამტკიცა იუბილესათვის მზადების პროგრამა.

გადაწყვეტილია გამოიცეს მთელი რიგი კრებულები. მზადდება დასაბეჭდად წიგნი—„75 წელი—ტიმირიაზევის სასოფლო-სამეურნეო აკადემიისა" და ოთხი კრებული: „კ. ა. ტიმირიაზევის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი სტატიების კრებული", „ტიმირიაზევის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის სამეცნიერო შრომების საიუბილეო კრებული", „აკადემიის მიერ 75 წლის მანძილზე გამოცემულ ნაშრომთა ბიბლიოგრაფიული კრებული" და „მეცნიერები პეტროვსკისა და ტიმირიაზევის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის შესახებ".

მიმდინარეობს მზადება საიუბილეო გამოფენის გასახსნელად, რომელიც გვიჩვენებს აკადემიის როლს ჩვენს ქვეყანაში აგრონომიული მეცნიერებისა და სასოფლო-სამეურნეო განათლების განვითარებაში. (საკდესი).

ხალხური ინსტრუმენტების დამკვრელთა სრულიად-საკავშირო შემოწმება

2 ოქტომბერს კავშირთა სახლის ოქტომბრის დარბაზში გრძელდებოდა შემოწმების მეორე ტურის მონაწილეთა გამოსვლები.

გიტარის დაკვრის ბრწყინვალე ტექნიკა გამოიჩინა სრულიად-საკავშირო რადიოკომიტეტის არტისტმა ა. მ. ივანოვ-კრამსკოიმ. მან შეასრულა ბახის პრელუდია, ვარიაციები მოცარტის თემაზე, ტარეგის „მავრული ცეკვა" და გრანადოსის „ესპანური ცეკვა". დიდი წარმატება ჰქონდა აგრეთვე გიტარისტს—13 წლის ვ. ბლილნიკოვს—ლენინგრადის № 2 სკოლის მე-6 კლასის მოწაფეს.

ცხოველი ინტერესი გამოიწვია ხალხურმა მელოდიებმა. ისინი აუდიტორიას გააცნეს საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის სტუდენტმა გ. ი. ორაგველიძემ, რომელიც ჩონგურსა და ფანდურს უკრავდა, და შემოწმების სხვა მონაწილეებმა. (საკდესი).

ტრამვაის ავტომატური ელექტროქვესადგური

მოსკოვში ხუთი წლის ცდების შემდეგ ამუშავდა სსრ კავშირში პირველი ტრამვაის ავტომატური ქვესადგური. სადგური აგებულია ს. ბოგოროდსკოეს რაიონში და მისი მართვა ხდება სადისპეტჩერო პუნქტიდან 8 კილომეტრზე. მთელი აპარატურა დამზადებულია საბჭოთა ქარხნებში.

„მოსელექტროტრანსის" ტრესტს განზრახული აქვს ავტომატურ მართვაზე გადაიყვანოს დედაქალაქის ყველა 28 ელექტროქვესადგური. საქმიო სანიმუშო პროექტები და ნახაზები უკვე დამზადებულია. პირველ რიგში ავტომატურ მართვაზე გადაყვანილ იქნება კოტლოვსკისა და კურსკის ქვესადგურები. ასეთი ქვესადგურები ანთავისუფლებს კვალიფიციურ მუშახელს და, ამას გარდა, უზრუნველჰყოფს მუშაობის უსაშიშროებასა და ელექტროენერგიის შეუფერხებელ მიწოდებას.

„სვანური პოეზია"

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა ამ დღეებში გამოსცემს აკადემიის წევრ-კორესპონდენტის აკ. შანიძის, პროფ. ვ. თოფურიას და მ. გუჯეჯიანის მიერ შეგროვილი და სვანურიდან ქართულად თარგმნილი პოეტური და პროზაული ტექსტების კრებულს ორ ტომად. კრებულში სვანურ და ქართულ ენებზე დაბეჭდილია სვანეთში არსებული ყველა სიმღერა, ამჟამად გავრცელებული რამდენიმე თანამედროვე ლექსი ამხანაგ სტალინის, ბერიას და ახალი სვანეთის შესახებ. წიგნში შეტანილი ლექსები ასახავენ ისტორიულ წარსულს, სვანთა ყოფა-ცხოვრებას, ზნეჩვეულებებს და სხვ.

კრებულის მეორე ტომში პროზის სახით დაბეჭდილია სვანური ორიგინალური ზღაპრები.

ფეხბურთი

„დინამოს" სტადიონზე

8 ოქტომბერს თბილისში ლ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე თბილისის „დინამოს" ოსტატთა გუნდი შეხვდება მოსკოვის „ლოკომოტივის" ოსტატთა გუნდს ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობის გათამაშებაში. (საკდესი).

„დინამო" (ქუთაისი)—სახუნივერსიტეტო

რამდენიმე დღის წინათ თბილისის სტალინის სახელობის სახუნივერსიტეტის ფეხბურთელთა გუნდი ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად მიიწვია ქუთაისის „დინამომ".

პირველი მატჩი დამთავრდა ფრედ—2:2. მეორე მატჩში ორივე გუნდმა თავისი ძირითადი შემადგენლობა გამოიყვანა. შეჯიბრება მოიგეს სახუნივერსიტეტო ფეხბურთელებმა ანგარიშით 4:2.

ხელოვნება

საკოლმეურნეო თეატრი ონში

ონში დაარსდა საკოლმეურნეო თეატრი. თეატრის დირექტორად დანიშნულია ამხ. ნ. ბურდილაძე, სამხატვრო ხელმძღვანელად და რეჟისორად—ამხ. მ. იარალი.

თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი შესდგება 20 კაცისაგან. მათ შორის მოწვეულია მხოლოდ ორი მსახიობი, დანარჩენები კი შერჩეული არიან ადგილობრივი ძალებიდან.

თეატრი პირველ აგვისტოდან შეუდგა მუშაობას და დასადგმელად მოამზადა პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება" და მ. კოჩარიანის „ბრმა მუსიკოსი".

თეატრის დაარსებას ონის რაიონის მშრომელი მოსახლეობა დიდი სიხარულით შეხვდა.

თეატრის რეპერტუარში შეტანილია შემდეგი პიესები: პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება", მ. კოჩარიანის „ბრმა მუსიკოსი", კარასევის „შუქურა", ვ. გაბესკირიას „მათი ამბავი", ა. დიუმას „მისი ცოლი" და ბალაბანის „მწვანე ველი".

ჩატარებულია სცენის რეკონსტრუქცია: წელს პირველად მოეწყო მბრუნავი სცენა, სარეპეტიციო ოთახი, შეკეთდა დარბაზი და სხვ.

თეატრი თავისი სპექტაკლებით ქალაქის მოსახლეობის გარდა მომსახურებას გაუწევს კოლმეურნეობებს, მოლიბდენის წარმოების მუშებს, კურორტ შოვისა და უწერის დამსვენებლებს.

თეატრმა სეზონი გახსნა 3 ოქტომბერს.

მ. ჩომახიძე

„მათი ამბავი" ჭიათურის თეატრში

ჭიათურა („კომუნისტის" საკ. კორ.). 28 სექტემბერს ჭიათურის სახელმწიფო თეატრმა გახსნა სეზონი ვ. გაბესკირიას „მათი ამბავით". პიესა დასდგა თეატრის სამხატვრო ნაწილის გამგემ ს. ცომაიამ. მთავარ როლებს ასრულებდნენ მ. ვაშაძე (შალვა), გ. გორდაძე (დავითი), გრ. ტყაბლაძე (ყარამანი), ბელა რომანიშვილი (თამარი), თ. ერისთავი (დარეჯანი), მ. კახიანი (ელიზბარი) და სხვ.

პრემიერას დიდძალი ხალხი დაესწრო და დიდი წარმატება ჰქონდა.

ცაგერის თეატრი

ასრულდა ცაგერის რაიონის მშრომელთა დიდიხნის ნატვრა: ამა წლის პირველი სექტემბრიდან ქ. ცაგერში ამუშავდა საკოლმეურნეო თეატრი. უკვე დამტკიცებული და დაკომპლექტებულია თეატრის შტატი. სამხატვრო ნაწილის გამგედ და რეჟისორად მიწვეულია პატუ ლოლაძე (ჭიათურის თეატრის ყოფილი რეჟისორი-დამდგმელი), ხოლო მხატვრად—ლუდუშაური. შედგენილია დასი 20 მსახიობის შემადგენლობით.

სამტრედიის თეატრში

სამტრედია, 3 ოქტომბერი (საკდესი). სამტრედიის სახელმწიფო თეატრმა სეზონი გახსნა ი. ვაკელის პიესა „შურით". პიესა დასდგა დ. სტურუამ.

სეზონის განმავლობაში თეატრის მიერ დადგმულ იქნება: „პატარა კახი", „ალლუმი", „მისი ცოლი", „ჩემი შვილი", „კოლმეურნის ქორწინება", „გუშინდელნი", „უდანაშაულო დამნაშავენი", „შუქურა" და სხვ.

ახალი შენობა თელავში

თელავს შეემატა კიდევ ერთი ახალი, ოთხსართულიანი შენობა.

ახალ შენობაში მოთავსდნენ პარტრაიკომი, კომკავშირის რაიკომი, პარტკაბინეტი და რაიონული გაზეთის „კოლმეურნის ხმის" რედაქცია.

პარტრაიკომის ძველი შენობა გადაეცა თელავის სამასწავლებლო ინსტიტუტს სტუდენტთა საერთო საცხოვრებლისათვის.

შ. მაჭავარიანი.

საავადმყოფო სიმონიანთხევში

სოფელ სიმონიანთხევში (თიანეთის რაიონი) დამთავრდა საავადმყოფოს ახალი შენობის მშენებლობა. საავადმყოფო 10 ოთახისაგან შესდგება და მომსახურებას გაუწევს ერწოს მოსახლეობას.

ილო ბეჟანიშვილი.

სასამართლო

ორი პროცესი

(ქუთაისი, „კომუნისტის" საკ. კორ.)

რუბენ გაბრიელის-ძე ფიჩხაძის ძირითად „პროფესიას" ტყავით სპეკულაცია შეადგენდა. ეს იყო მისი შემოსავლისა და გამდიდრების წყარო. მას კარგად იცნობენ ქუთაისში, იცნობენ უფრო მეტად ტყავის მოხელენი, მეწაღეები, ხარაზები.

რ. ფიჩხაძეს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ფეხსაცმლის სარეწაო არტელების ბევრ დოყლაპია მუშაკთან, იქ მოკალათებულ, სპეკულანტური სულით გაჟღენთილ ზოგიერთ „ყოფილ ადამიანებთან".

მილიციის ორგანოებს შეუმჩნეველი არ დარჩათ რ. გ. ფიჩხაძის „მოღვაწეობა". გასული წლის 13 მარტს იგი საბჭოთა მართლმსაჯულების წინაშე წარსდგა. ქუთაისის პირველი უბნის სახალხო სასამართლომ მას, როგორც სპეკულანტს, ორნახევარი წლით პატიმრობა მიუსაჯა, მაგრამ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს საკასაციო კოლეგიაში აღმოჩნდნენ „გულჩვილი" ადამიანები, რომელთაც უბნის სასამართლოს განაჩენი მკაცრად მიიჩნიეს და საბჭოთა ვაჭრობის დეზორგანიზატორს მხოლოდ 1 წლით იძულებითი მუშაობა აკმარეს.

ამან, ცხადია, უფრო გაათამამა რუბენ ფიჩხაძე. მან კიდევ უფრო გაშალა თავისი „მოღვაწეობა". მაგრამ მილიციის თვალი მას ერთი წუთითაც არ მოშორებია. ამა წლის 20 ივნისს ფიჩხაძე დააპატიმრეს სწორედ იმ დროს, როცა ვინმე ვლადიმერ კალისტრატეს-ძე ბილიხოძეს (მახარაძის რაიონის მცხოვრები) მისგან მიჰქონდა მალულად, მაღალ სპეკულატიურ ფასებში შეძენილი, საბჭოთა საწარმოებიდან გამოტანილი 2.070 მანეთის ძვირფასი ტყავეული.

29 სექტემბერს რ. გ. ფიჩხაძის საქმე კვლავ გაარჩია ქუთაისის მეხუთე უბნის სახალხო სასამართლომ, მაგრამ უკვე საჯარო საჩვენებელი პროცესით ამხ. ი. ჩიქოვანის თავმჯდომარეობით და სახელმწიფო ბრალმდებლის, ქალაქ ქუთაისის პროკურორის ამხ. გ. დოლიძის მონაწილეობით. პროცესზე, რომელმაც დიდძალი ხალხი მიიზიდა, სავსებით დადასტურდა ბრალდებულის სპეკულანტობა.

სასამართლომ რ. გ. ფიჩხაძეს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 7 წლით შორეულ აღმოსავლეთში გადასახლებით, მთელი მისი ქონების კონფისკაციითა და სასჯელის მოხდის შემდეგ 3 წლით სამოქალაქო უფლებების აყრით.

○

იმავე დღეს ამ სასამართლომ გაარჩია ორი სხვა პროფესიონალი სპეკულანტის შალვა ვლადიმერის-ძე ფურცხვანიძისა და ექიმის თანაშემწის ქეთო მიხეილის-ასულ ნიჟარაძის საქმე.

ქეთო ნიჟარაძე შალვა ფურცხვანიძის უკვე მსჯავრდადებული ძმის ყოფილი მეუღლეა. იგი ლენინგრადიდან სისტემატურად იღებდა ამანათებს ქალის აბრეშუმის ჩულქებით, კაცის ნასკებით და სხვ., მიღებულ საქონელს გადასცემდა ხოლმე თავის მაზლს, ხოლო ეს უკანასკნელი მას ხუთმაგ ფასებში ჰყიდდა. 1938 წელს მათ შვიდი ასეთი ამანათი მიიღეს. უკანასკნელი ამანათი ქ. ნიჟარაძის სახელზე მოვიდა 1939 წლის 27 ივნისს. უკვე ეჭვმიტანილი შ. ფურცხვანიძე და ქ. ნიჟარაძე გამოცხადდნენ ფოსტაში, მიიღეს ამანათი, მაგრამ.. მილიციამ იქვე დააკავა ისინი. ამანათში აღმოჩნდა ქალის 63 წყვილი აბრეშუმის ჩულქი.

სასამართლომ შალვა ფურცხვანიძეს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 წლით, ხოლო ქეთო ნიჟარაძეს 5 წლით—მთელი მათი პირადი ქონების კონფისკაციით და სასჯელის მოხდის შემდეგ თვითეულს ორ-ორი წლით სამოქალაქო უფლებების აყრით.

გ. ყურაშვილი

ლექცია

5 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, საქართველოს სამხარეთმცოდნეო საზოგადოებაში (ფურცელაძის ქ. № 3, მასწავლებლის სახლი) საზოგადოების წევრი როზა თავდიდიშვილი წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „ქუთაისის ქართველ ებრაელთა ძველი ადათ-ჩვეულებანი".

დასწრება თავისუფალია.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. — ცემენტი, **ოქტომბერი**—კატერინა, **დამკვრელი** (საზ.)—პეპო, **დამკვრელი** (ზამთრ.)—დედა, **კომკავშირელი** (საზ.)—უკანასკნელი ბანქი, **კომკავშირელი** (ზამთრ.)—მთის მარში, **სპარტაკი**—1) შემთხვევა პატარა სადგურზე, 2) ივან გუდოვი, **რ. ლუქსემბურგის სახ.**—მთის მარში, **26 კომ. სახ.**—ვაჟკაცობა, **კომინტერნი**—ჯარისკაცი ფრონტიდან ბრუნდება, **ახალი ამბები** — 1. სტალინური ავიაციის დღესასწაული, 2. ელექტროსანგრევი ურო, 3. სსრ კავშირის ბეწვეული სიმდიდრენი.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის ზ. ფალიაშვილის
სახ. ოპერისა და ბალეტის
ლენინის ორდენოსანი
სახელმწიფო თეატრი

4/X	მუდმ. ადგ. ტალ. № 10 მეფის საცოლე
5/X	მუდმ. ადგ. ტალ. № 11 ტრავიატა
6/X	მუდმ. ადგ. ტალ. № 12 ჯავშნოსანი პოტიომკინი

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
აბონემენტებზე განაცხადთა მიღება და აბონემენტების გაცემა თეატრის სალაროში.
სალარო ღიაა 11—4 ს. და 5—9 ს.

რუსთაველის სახელობის
ლენინის ორდენოსანი
სახელმწიფო თეატრი
1939-40 წ.წ. სეზონი

4/X	მუდმ. ადგ. ტალონი № 13 ოტელო
5/X	მუდმ. ადგ. ტალონი № 14 არსენა
6/X	მუდმ. ადგ. ტალონი № 15 ნაპერწკლიდან

სალარო ღიაა დღის 12 საათიდან
საღამოს 9 საათამდე.
დასაწყისი 8 საათზე.

ამხ. ბერიას სახ. კულტურის
სახლი, 1-ლი მაისის ქ. № 10

სახელმწიფო ოპერეტის თეატრის
წარმოდგენები

4 ოქტომბერს
მხიარული ქვრივი
მუს. კომ. 3 მოქმ.

5 ოქტომბერს
როზ-მარი
მუს. კომ. 3 მოქმ.

სამხ. ხელმძღვანელი ა. ნ. ოლგარი
დასაწყისი საღ. 9 საათზე
ბილეთების წინასწარ შეძენა დილის 11 ს-დან 3 ს-დე, საღ. 6 საათ. 11 საათ.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის
ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1939—40 წ. სეზონი

6 ოქტომბერს დილა
დილის პირველი სპექტაკლი მოწაფეთათვის დაკლებულ ფასებში
ვ. დოლიძე
ქეთო და კოტე
დასაწყისი დილის 12 საათზე.

სტამბა „კომუნისტს"
ესაჭიროება ცეცხლფარეში (კაჩეგარი).
პირობების გაგება დირექციაში დილის 9 საათიდან საღამოს
5 საათამდე. ლენინის ქ. № 28.
სტამბის დირექცია.

თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის
ტრანსპორტის ტექნიკუმი აცხადებს
სტუდენტების დამატებით მიღებას 1939-40 სასწ. წლისათვის

ტექნიკუმი ამზადებს შემდეგ სპეციალობათა ტექნიკოსებს:
1. მოძრაობა და სატვირთო მუშაობა (ქართული და რუსული სექტორები). 2. სცბ—სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია, ბლოკირება (ქართული და რუსული სექტორები). 3. საგზაო მეურნეობა (ქართული და რუსული სექტორები).

სწავლის კურსი 4-წლიანია.

ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის პირები 15-დან 30 წლამდე ასაკისა, რომლებსაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლა ან საშუალო სკოლის 7 კლასი.

ის პირები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლა ან საშუალო სკოლის 7 კლასი და ძირითად საგნებში აქვთ ნიშანი „ფრიადი", ხოლო დანარჩენ საგნებში (ხატვა, სიმღერა, ფიზკულტურა) ნიშნები არანაკლებ „კარგისა", ტექნიკუმში მიიღებიან პირველ კურსზე უგამოცდოდ.

ყველა დანარჩენი კი გაივლის მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: სსრ კავშირის კონსტიტუცია, მათემატიკა (ზეპირი და წერითი), ფიზიკა, რუსული ენა და ლიტერატურა (ზეპირი და წერითი).

ის პირები, რომლებიც შედიან ქართული სექტორის პირველ კურსზე, გაივლიან დამატებითს გამოცდას ქართულ ენაშიც (ზეპირი და წერითი).

შემოსვლისას წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტები დედნებად: ავტობიოგრაფია, დაბადების მოწმობა, პასპორტი (წარმოდგენილ უნდა იქნას პირადად), განათლების მოწმობა, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, სამი დამოწმებული ფოტო-სურათი, ცნობა სამხედრო ვალდებულებისადმი დამოკიდებულების შესახებ.

ხაზიდან ჩამოსული პირები გამოცდის დროს და ტექნიკუმში ჩარიცხვის შემდეგ უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით შესაძლებლობის მიხედვით.

სტიპენდიები საერთო საფუძველზე.

ტექნიკუმის კურსდამთავრებულნი ღებულობენ შესაბამისი სპეციალობის ტექნიკოსის წოდებას და უზრუნველყოფილი იქნებიან სამუშაოთი რკინიგზაზე.

განცხადებები მიიღება ტექნიკუმის კანცელარიაში (ქალ. თბილისი, ნიხოშვილის ქ. № 13) 1-დან 20 ოქტომბრამდე.

მისაღები გამოცდები 21-დან 29 ოქტომბრამდე. მეცადინეობა დაიწყება 1 ნოემბერს. № 760 **ტექნიკუმის უფროსი**

საქ. სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სამკერვალო ფაბრიკა

აქტივი № 6-ის ბალანსი 1-ლ იანვრისათვის 1939 წ. (ათას მან.) პასივი

	აქტივი			პასივი	
1	ძირითადი საშუალებანი	113	1	საწესდებო ფონდები	791
2	მასალები, ნედლეული და სათბობი	207	2	სპეციალური ფონდები	179
3	დაუმთავრებელი წარმოება და ნახევარფაბრიკატები	182	3	რეზერვები და მოსალოდნელი ხარჯები	4
4	საქონელი და მზანაწარმი	164	4	ანგარიშსწორება (კრედიტები)	149
5	ძირითად საშუალებათა დაუმთავრებელი ლიკვიდაცია	2	5	დაგროვება საანგარიშო წლისა	1191
6	გადატვირთული საქონელი და შესრულებული სამუშაოები	21			
7	ფულადი საშუალებანი	234			
8	ანგარიშსწორება (დებიტორები)	34			
9	მომავალი წლის ხარჯები	33			
10	ფინანსირება გეგმის გარეშე კაპიტალ. მშენებლობისა	130			
11	შენატანები, ანარიცხები და სხვა განყენებული საშუალებანი	1150			
12	ბალანსთა შორის და შინა ანგარიშსწორებანი	44			
	ბალანსი	2314		ბალანსი	2314

დაგროვება-დანაკარგების ანგარიში.

1	სხვა დანაკარგები	9	1	დაგროვება საქონლის და მზა ნაწარმისა	1171
			2	სხვა დაგროვება	29
	სულ	9		სულ	1200
	დაგროვების სალდო	1191		დანაკარგების სალდო	—
	ჯამი	1200		ჯამი	1200

დირექტორი **მ. მურადაშვილი.** მთ. ბუღჰალტერი **ვ. ხარაძე.**

ბალანსი და დაგროვება-დანაკარგების ანგარიში დამტკიცებულია საქ. სსრ მსუბუქი მრეწველობის სახ. კომისარიატის მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

749 საქ. სსრ მსუბუქი მრეწვ. სახ. კომისარიატის ცენტრალური ბუღჰალტერიის უფროსი **ვ. ჟიჟიანი.**

შვილები ალექსანდრე, ზალიკო, ლევან, ოლია, თამარ, რძლები თამარ, მართა, სიძეები ლელო, პეტია, შვილიშვილები იუწყებიან
სოფიო სიმონის-ასულ მეიფარიანის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 4/X 7 ს. გამოსვენება 5/X 5 ს. გოგოლის, 43. 3308

თბილისის სატვირთო სადგურის და სამხრეთ პარკის თანამშრომლები და ამავე სადგურების კლიენტურა იუწყებიან
ვანო სამსონის-ძე ჭილაშვილის
გარდაცვალებას. 3309

მეუღლე ნადია, შვილები ქეტა, კარლო იუწყებიან, რომ 6/X 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია საყვარელ
გიორგი (გოგილო) მიხეილის-ძე ჭყუასელის
სამოქალაქო პანაშვიდი. 3310

მშობლები ანიკო, ვასო, დები ჟუჟუნა, ნათელა, ბებია მარიამი, პაპა სოლო, ბიძა სანდრო, მამიდა ნინო სალხინაშვილები იუწყებიან
პატარა ლეოს
გარდაცვალებას. დაკრძალვა 6/X წითელ-ქალაქში. 3311

მშობლები ლასე, დიმიტრი, შვილი დიმიკო კალანდაძეები, ბიძაშვილები გივი, ვილია ლომთათიძეები იუწყებიან, რომ ვაკის სასაფლაოზე 6/X 4½ ს. დანიშნულია ძვირფას
ბესო და მარგალიტა კალანდაძეების
სამოქალაქო პანაშვიდი. 3312

თოდაძე, თანიაშვილი, ხუციშვილი, მ. ჯაფარიძე, ჯვარშეიშვილი, ლითანიშვილი, მაჭარაშვილი, კომახიძე იუწყებიან ვალიკო ჰიჭინაძის დედის
ეფროსინეს
გარდაცვალებას. 3313

მეუღლე მერი ლაღიძე, შვილი გურამი, მშობლები ნატალია, აბრამი, ძმები ზაქრო, იაგო, და მარგო გოგნიაშვილები იუწყებიან, რომ 6/X 4 ს. ხაშმში დანიშნულია აგრონომ
ვალიკო გოგნიაშვილის
პანაშვიდი. 3314

და ნინო, დისწული მარო შვილებით ქაჯაიები იუწყებიან, რომ 8/X ქ. ლანჩხუთში დანიშნულია დაუვიწყარ
ცუცუ ებრალიძის
სამოქალაქო პანაშვიდი. 3319

სტუდენტთა ქალაქის პოლიკლინიკის თანამშრომლები იუწყებიან პოლიკლინიკის ექიმ-დოსტაქრის გრიგოლ გოგიბერიძის ძმის
კოტე გოგიბერიძის
გარდაცვალებას. 3316

ოლინკა, ალექსანდრა, ვალოდია, ვალია ჰუმბურიძეები, მარუსია, შალვა ძიმისტარიშვილები, ელიკო, მაშა, ბორია კვინიხიძეები, მარგალიტა, ვალოდია მესხი, ქეთო, დავით წერეთლები იუწყებიან
ივანე სამსონის-ძე ჭილაშვილის
გარდაცვალებას. 3315

შვილი ბაბილინა მეუღლით დავითით, შვილიშვილები ფატი, შოთა, ჟორა თავამაიშვილები, სიძე რეზო გიგინეიშვილი იუწყებიან საყვარელ
იოსებ ოთარის-ძე ღლონტის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 5/X ს. ბოხვაურში. 3317

მამიდა გუგული, სიძე კლიმენტი ბოკერიები შვილით ილუშათი იუწყებიან საყვარელ
ჟორა (ჟიმი) მაღლაკელიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ფოთში 6/X, მახარაძის ქ. № 17. 3318

6/X 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია საყვარელ ინჟინერ
გიორგი (ბურდღუ) ივანეს-ძე ჭანტურიას
სამოქალაქო პანაშვიდი, რასაც იუწყება მეუღლე ოლია შვილებით დალით და ქეთინოთი. 3320

ხელოვნების სამმართველოს თანამშრომლები კანდელაკი, მაჩაბელი, ჩხიკვაძე, მთავრიშვილი, კალატოზიშვილი, გაბარაშვილი, ქიქოძე, შახპარონიანი, შარაშენიძე, ხელაძე იუწყებიან პავლე ახალკაცის მამის
დავითის
გარდაცვალებას. 3321

მშობლები დავით, დარეჯან, და ექიმი მარო ნადირაშვილები, მეუღლე გერონტი ნამიჩეიშვილი პატარა ავთანდილით იუწყებიან, რომ 6/X 4 ს. ვაკის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია
ნინო დავითის-ასულ ნადირაშვილი-ნამიჩეიშვილის
პანაშვიდი. 3322

შვილიშვილები ჟორა, ვახტანგ გურგენიძეები, ქეთო, საშა ქუთათელაძეები და ნანა ყიფიანი იუწყებიან საყვარელი ბებიის
ეფროსინე (ფოცია) ბიჭიას-ასულ ჭიჭინაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 4/X 5 ს. ბრძოლის, 32. 3323

და მარგო იმერლიშვილი მეუღლით იოსებით, შვილებით გივით და ნათელათი იუწყება, რომ 6/X 4 ს. სოფ. ხაშმში დანიშნულია დაუვიწყარი აგრონომ
ვალიკო აბრამის-ძე გოგნიაშვილის
პანაშვიდი. 3314

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის—3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, საბჭოთა მშენებლობის და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83, მრეწველობისა და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, 3—80—81. პ.-მგ. მორიგეს—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. მთავლიტის რწმუნებული ა—646